ლელო

№ 59
(11 311)

3 – 5 აგვისტო, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ბრაზილია – მექსიკა

4 აგვისტოს, კონფედერაციის თასზე მათი ფინალია:

საქართველოს სპორტსმენთა წარმატებები

ტყვიის სროლა ევროპის ჩემპიონატი

ნინო სალუქვაძე... კიდევ მედალი

ბორდოში (საფრანგეთი) მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში სპორტული პისტოლეტიდან ტყვიის სროლაში ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და პრიზიორმა, ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. როგორც ცნობილია, ნინომ ადრე ჩვენი ოლიმპიური კანდიდატებიდან პირველმა მოიპოვა სიდნეის საგზური. წარმატებების სერია გრძელდება.

ჯერჯერობით ძუნწი, მაგრამ გასახარი ინფორმაცია

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტთა მსოფლიო პირველობაზე დანიაში ჩვენი სპორტსმენების გამგზავრება ძირითადად თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა. არადა, ნამდვილად ცოდვა იქნებოდა ეს ბიჭები შინ რომ დარჩენილიყვნენ. დანიიდან მიღებული ძუნწი ინფორმაციით (მხედველობაში გვაქვს ის, რომ დასახელებული არ არის ჩემპიონთა და პრიზიორთა გვარები) საქართველოს კადეტ ფალავნებს ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოუპოვებიათ. გუნდურ პირველობაში კი ჩვენები მესამე საპრიზო ადგილზე გასულან. ჯერჯერობით მხოლოდ ეს გახდა ცნობილი. ვულოცავთ მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილს და ჩვენს ფალავნებს ამ წარმატებას. უფრო დაწვრილებით „ლელოს" შემდეგ ნომერში.

მაკაბელთა ევროპის ჩემპიონატი

მეტის წაყვანის შესაძლებლობა არ იყო, მაგრამ მთავარი მაინც ხარისხია

როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, შოტლანდიაში ევროპის მაკაბიადაში მონაწილეობისათვის პირველად გაემგზავრა საქართველოს ებრაელ სპორტსმენთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები გუნდი, მოჭადრაკე სოფიო ხუხაშვილი და კარატეს ოსტატი დავით ხუხაშვილი.

ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ღირსეულად დაიცვეს საერთაშორისო სარბიელზე ქართული სპორტის ავტორიტეტი. კალათბურთელებმა კონტინენტის 40 ქვეყნის გუნდს შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, რაც, დაგვეთანხმებით, უდავოდ კარგი შედეგია. მოჭადრაკეთა შორის 12 ვაჟი და ერთი ქალიშვილი იბრძოდა ჩემპიონის ტიტულისათვის. მიხვდით, ალბათ, ეს ერთი მოჭადრაკე, . რომელიც ვაჟებს შეებრძოლა, 14 წლის თბილისელი სოფიო ხუხაშვილი იყო — 16 და 20 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ორგზის ჩემპიონი, უალრესად ნიჭიერი სპორტსმენი. კარატეში კი თავიანთი ქვეყნების 22 რჩეულ ოსტატს შორის საუკეთესო აღმოჩნდა. ასევე თბილისელი დავით ხუხაშვილი, რომელსაც ჩემპიონის ოქროს მედალი გადაეცა.

საქართველოს მაკაბელები, რომლებსაც გამგზავრების წინ გზა დაულოცეს ქართულ-ებრაულ საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლებმა, ამ დღეებში შინ დაბრუნდნენ.

საагენტო „გუმათე"

სიდნეიში შეიძლება გუნდით წარვსდგეთ...

უფრო დაწვრილებით

საფრანგეთიდან დაბრუნდა ჩვენი სპორტული დელეგაცია (ხელმძღვანელი თენგიზ ბოლქვაძე) და ახლა შესაძლებლობა გვაქვს ჩავიხედოთ ამ ქვეყნის ქალაქ რიომში გამართულ მშვილდოსანთა მე-40 მსოფლიო ჩემპიონატის ოქმებში და უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ჩვენების შედეგებს. მ-1 ვარჯიშში ხათუნა ქვრივიშვილს 1322 ქულა მოუგროვებია (IV ადგილი) რითაც, როგორც ადრე გაუქეთ, სიდნეის ოლიმპიური თამაშების საგზური გაინაღდა. ხათუნა ფუტკარაძე კი 1274 ქულით 27-ე ადგილზე გასულა 127 მონაწილეთა შორის (ლიცენზიას 1-43 ადგილი იძლეოდა). ჩვენებს 31 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის XI ადგილი დაუკავებიათ საერთო გუნდურ ჩათვლაში (ფუტკარაძე, ქვრივიშვილი, ოლღა ლადიგინა). ბათუმელი ვეტერანი ლადიგინა აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თენგიზ ბოლქვაძის თხოვნით შეუყვანიათ ნაკრებში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო გუნდურ პირველობაში ასპარეზობა. მართალია, ლადიგინა პირადში 104-ე იყო იმ 127 მონაწილეთაგან, მაგრამ გუნდს მაინც სარგებლობა მოუტანა. მეტიც, ახლა საკითხი დგას, რომ სიდნეიში ჩვენებს გუნდურ პროგრამაშიც შეიძლება მისცენ გამოსვლის უფლება. ამ წინადადებას საერთაშორისო ფედერაცია განიხილავს.

ეს ახალი ამბავი ჩვენი ფედერაციის პასუხისმგებელმა მუშაკმა რუბენ კაცობაშვილმა გვაცნობა. მანვე გვითხრა, რომ სიდნეიში დასრულდა მშვილდოსანთა საასპარეზო მშენებლობა და 20 სექტემბერს იგი საზეიმოდ გაიხსნება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებით. მსოფლიოს წარჩინებულ მშვილდოსანთა შორის ამ ტურნირზე მიწვეულნი არიან ქვრივიშვილი და ფუტკარაძე. ჩვენი გოგონები ახლა შავიზღვისპირა ქვეყნების თამაშებში მონაწილეობისთვისაც ემზადებიან. ეს კომპლექსური ასპარეზობა გაიმართება თურქეთში, სექტემბრის პირველ დეკადაში.

ჰოლანდიაში და ბათუმში...

თუ ფოთის „კოლხეთი" უკვე გამოეთიშა ევროტურნირებს, ხოლო თბილისის „დინამო" ხვალ, 4 აგვისტოს ხელმეორედ, ახლა უკვე სტუმრად გაეჯიბრება „ზიმბრუს", საევროტურნიროდ გამწესებული დანარჩენი ორი ქართული კლუბი ჯერჯერობით მხოლოდ ინტენსიურად ემზადება.

ჰოლანდიაში შეკრებაზე მყოფი ქუთაისის „ტორპედო" ძველ ნაცნობს, ბელგიურ „ლომელს" შეხვდა. სწორედ ამ კლუბმა გამოთიშა შარშან რიონისპირელები ინტერტოტოს გათამაშებიდან. ამჯერადაც მათ იმარჯვეს, ოღონდ, უკვე დიდი ანგარიშით 4-0. უეფას თასის წლევანდელი გათამაშების მონაწილე მეორე ჩვენებური გუნდი თბილისის „ლოკომოტივი" კი სამშობლოში გადის შეკრებას. მურთაზ ხურცილავა და მისი შეგირდები ბათუმს ეწვივნენ. იქაურ „დინამოსთან" საკონტროლო მატჩისათვის სტუმრები გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ მასპინძლებზე და 3-1-ზე დაამარცხეს კიდეც ზღვისპირელები. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს იოჰან ბოსკამპის მიერ დისციპლინის დარღვევისათვის დაწუნებულმა გოგიჩაიშვილმა, შავგულიძემ და კაციაშვილმა, ბათუმელთაგან კი მაჭუტაძემ.

ასწლოვანი რალი საქართველოს ეწვია

2 აგვისტოს თბილისს ეწვია საინტერესო ასპარეზობა — მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი ავტო-მოტო რალში. ამ საუკუნოვანი პოპულარული რბოლის ტრასა პირველად გადის საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ჩვენმა რელიეფურმა პირობებმა და ქვეყანაში სტაბილურობამ განაპირობა. ჩვენი ტრასა წინდაწინ შეისწავლეს ორგანიზატორებმა და მოწონებაც დაიმსახურა. რალი რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე გადის და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებასაც ისახავს მიზნად. საქართველოდან რბოლა თურქეთში გაგრძელდება,

მომავალში ვარაუდობენ, რომ რბოლის ტრასა დიდი აბრეშუმის გზაზე გაივლის.

თბილისის მერიაში

გაიზარდა ხელფასი, გაიზრდება მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა

თბილისის მერიამ და საკრებულომ დედაქალაქში სპორტული მუშაობის გამოსაცოცხლებლად ბევრი რამ გააკეთა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ახლა გადაიდგა ახალი ნაბიჯი — თბილისის რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს გაეზრდებათ ხელფასი, რაც სავარაუდოდ 114 ლარი იქნება თვეში.

ხელფასის გაზრდის უპირველესი მიზანია აამაღლოს სპორტის რაიონული რგოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. მერიას უკვე მორალური უფლება ექნება გაზარდოს მათ მიმართ მომთხოვნელობა. არ არის გამორიცხული, რომ კადრების გადახალისებაც დადგეს დღის წესრიგში.

საагენტო „გუმათე"

წოდების მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა:

ვალენტინა კლიმოვას – მწვრთნელს ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომაში (თბილისი)

გენრიხ (გიზო) დოლიძეს – თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს, დოცენტს.

სტამბულში, წყალთა სახეობებში ევროპის ჩემპიონატში 4X100 მეტრზე ესტაფეტაში უძლიერესის სახელი გერმანიის ქალთა ნაკრებმა მოიპოვა.

ბათუმი ევროპის ჩემპიონატის მოლოდინშია

როგორც ცნობილია, - ბათუმში შემოდგომაზე გაიმართება ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. ამ დიდი საერთაშორისო შეჯიბრებისათვის ემზადება საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და ცხადია, საგულდაგულოდ ემზადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, განსაკუთრებით ბათუმი.

. ამასთან დაკავშირებით ბათუმში ამას წინათ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სოსო დიდებულმა დამსწრეთ წარუდგინა ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბორის კუტინი. ითქვა, რომ სამუშაოები ყველა მიმართულებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. განსაკუთრებით საჭადრაკო სასახლის მშენებლობა. დამტკიცებულია ჩემპიონატის ემბლემა, შეკვეთილია თვალსაჩინოებანი, პრიზები, მედლები, ფორმდება ხელშეკრულებები უცხოელ სატელევიზიო კომპანიებთან, რადიოსადგურებთან.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბათუმი მისი საყვარელი ქალაქია, რომ თავადაც მიიღო მონაწილეობა ბათუმის ახალი საჭადრაკო სასახლის საძირკვლის ჩაყრაში. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის პირადმა ინიციატივამ და ცნობამ იმის შესახებ, რომ იგი ჭადრაკის დიდი მოყვარული და გულშემატკივარია, ევროპის საჭადრაკო კავშირის საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ბათუმის კანდიდატურას. ეს მომგებიანი იქნება საქართველოსათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიო უკეთ გაიცნობს ჩვ-

იხ. მე-2 გვ.

კალენდარი

ვინ, სად, როდის...

1–15 აგვისტო

1 აგვისტო. გაიხსნა ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშები (1936 წ.)

1 აგვისტო. დაიბადა ქეთევან ლოსაბერიძე (1949) — ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში.

2 აგვისტო. დაიბადა მზია ჯუღელი (1925) — ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში.

2 აგვისტო. დაფუძნდა საქართველოს საწყლოსნო სპორტის სხეობათა ეროვნული ფედერაცია (1991)

9 აგვისტო. დაიბადა ზურაბ საკანდელიძე (1945) — ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში.

12 აგვისტო. დაიბადა ომარ ფხაკაძე (1944) — მსოფლიოს ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, თასის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების, III პრიზიორი სპრინტში. გარდაიცვალა 1993 წ.

15 აგვისტო. დაიბადა რუსუდან სიხარულიძე (1954) — მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი ტანვარჯიშში.

ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი - 1.8100 ლარი.

საქართველო
GEORGIA

სეოკ-ის საიუბილეოდ!

10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

ფურცლები ისტორიიდან

1990–1991 წლები

სეოკ-ის პირველმა საანგარიშგებო სესიამ დაადასტურა, რომ შექმნიდან ერთ წელიწადში სეოკ-ის აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა შეესაბამებოდა ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს და ქართული სპორტის ინტერესებს. სესიაზე გამოცხადდა საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში ახალი ეტაპის დადგომის დასაწყისი. იგულისხმებოდა, რომ ჩვენს ფედერაციებს ბოლოს და ბოლოს უნდა გაერკვიათ ურთიერთობა საკავშირო და საერთაშორისო ფედერაციებთან. სეოკ-ი მტკიცედ ადგა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობის კურსს, რაც სპორტული ფედერაციების მხარდაუჭერლად ვერ განხორციელდებოდა.

ამასობაში ახალი სენსაციური ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალურად გამოეყო საკავშირო სპორტსაბჭომს. მსოფლიომ დაინახა და გაიგო ის, რაც ისედაც კარგად იცოდა — საბჭოთა კავშირში ოლიმპიური მოძრაობა გამოდიოდა სახელმწიფო სტრუქტურიდან, მაშასადამე დიქტატიდანაც, რაც ქარტიით ისედაც დაუშვებელი იყო, მაგრამ სოკ-ი მუდამ დუმდა. ეს მოხდა 1990 წლის ბოლოს.

ახალ ცნობას უმალვე მოჰყვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკავშირო ოკ-ი ორ ადგილს გამოყოფდა თავის შემადგენლობაში საქართველოს წარმომადგენლობისთვის. უფრო რეალურად რომ აღვიქვათ თუ რა რეაქცია გამოიწვია სეოკ-ში ამ ცნობამ, მოვიტანთ ციტატას მაშინდელი ერთ-ერთი პუბლიკაციიდან: „ჩვენ აღარ გვესწავლება ამ „სატყუარას“ შემდეგ რა მექანიზმი ამუშავდება — ორ-ორი წარმომადგენელი რესპუბლიკებიდან და მათზე ათჯერ მეტი — მარტო რუსეთიდან. ეს კი რას ნიშნავს, მაშინაც დავრწმუნდით, როცა სსრ კავშირის ეოკ-ის სესიაზე ბაკურიანის, როგორც ზამთრის 1998 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთი კანდიდატის საკითხი წყდებოდა“.

ცენტრის ახალ შემოთავაზებას სასტიკი უარით გუპასუხეთ. რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენი საქმე უნდა გვეკეთებინა, გვევლო აღებული კურსით.

ჩვენი ფედერაციები შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს დამოუკიდებლად გაწევრიანების თაობაზე დრო და დრო შეახსენებდნენ ხოლმე თავს, მაგრამ პასუხი თითქმის მუდამ იგივე იყო, რაც ვთქვათ, ფიბა-დან: „სპორტული გადაწყვეტილება პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს“ და ისევ და ისევ: „ერთი ქვეყანა, ერთი ფედერაცია“. ის ერთი ქვეყანა კი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ჯერჯერობით კვლავ სსრ კავშირი იყო. ამ მხრივ საქმე თვით ლიტველებსაც გაურთულდათ. უთვლიდნენ, ჯერ საბჭოთა კავშირმა გცნოთ დამოუკიდებელ ქვეყნად და მერე მოგვმართეთო. სხვათა შორის, მაშინ მეზობლებს გავარდა ცნობა იმის შესახებ, რომ საფრანგეთი 95 ათასიანი მაცხოვრებლით დასახლებულ თავის პატარა კუნძულ ტაიტისთვის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლების აღიარებას აპირებდა. ეს ჩვენთვისაც დიდი იმედი იყო, მაგრამ... სსრ კავშირი ხომ საფრანგეთი არ იყო.

სეოკ-ის ზემოხსენებულ სესიაზე მოკავშირე რესპუბლიკებისადმი მიმართვაც მივიღეთ. ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს და სპორტულ ორგანიზაციებს სეოკ-ი მოუწოდებდა გამოყოფოდნენ საკავშირო სტრუქტურებს და ებრძოლათ, რათა დამოუკიდებლად ეასპარეზათ ოლიმპიურ თამაშებში. „ძალა ერთობაშია!“ აი, რა იყო ამ მიმართვის მიზანი. უნდა ითქვას, რომ ოპერატიულად არა, მაგრამ მერე და მერე სეოკ-ის შეგუულიანებამ დადებითი როლი ბევრ რესპუბლიკაში შეასრულა, უპირველესად სპორტული ტრადიციების რესპუბლიკებს ვგულისხმობთ.

1991 წლის იანვარში შვეიცარიაში მსოფლიოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება ჩატარდა საათხლეპარო სპორტში. შეჯიბრებაზე ზაზა ღუღუნიშვილი, ვახტანგ მიქელაძე, კობა წაქაძე (უმცროსი) და ამ სტრიქონების ავტორი გავემგზავრეთ. ამ შეჯიბრებას ორი წლის შემდეგ გუდაურში ვიწვევდით, გამგზავრების ერთი ამოცანა ორგანიზაციული საკითხების შეთანხმებაც იყო. გვსურდა გზად სმირნოვს შევხვედროდით და ოლიმპიურ პრობლემებზეც გვემსჯელა. მაგრამ იგი არ დაგვხვდა მოსკოვში. საუბარი სსრ კავშირის ოკ-ის პასუხისმგებელ მდივანთან ნიკოლაი ლენცთან გაიმართა. აი, ამ დიალოგების ჩანაწერი:

● *„მივიღეთ თქვენი წერილი და დეკემბერში, სადაც დამეჯერებით ითხოვთ ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში საქართველოს ორი კანდიდატურის წარმოდგენას. თქვენ კარგად იცით, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დამოუკიდებელია და იგი აღიარებს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას...*

— თქვენ კი აღიარებთ, მაგრამ სოკ-ი აღიარებს? ეს ხომ ცალმხრივ სიფარულს მოგვაგონებს.

● *არა უშავს, ცალმხრივი სიფარულიც საქმეა, ხშირად იგი ბოლომდე როდი რჩება ცალმხრივი, მაგრამ ეს სხვა საკითხია. თუ შეიძლება, ის გვითხარით, ცნობთ თუ არა, ან აპირებთ თუ არა სცნოთ რესპუბლიკების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სუვერენული უფლებები?*

— ჯერ ერთი, ასეთი კომიტეტები „ემიგიონალური“ უფროა, ვიდრე „ნაციონალური“. თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს ვინმე დაუშვებს ოლიმპიურ თამაშებზე როგორც ცალკე დელეგაციას? ჯერ პოლიტიკური თავისუფლებაა მთავარი.

● *ეს ჩვენც კარგად გვესმის, მაგრამ ხომ შეუძლია თითოეულ დარგს ხელი შეუწყოს პოლიტიკურ თავისუფლებას?*

— სად მიიჩქარით, რატომ იღებთ მსხვერპლს? საქართველოსთვის, თუნდაც ეკონომიკურადაც კი, არა მგონია ხელსაყრელი იყოს კავშირიდან გასვლა.

● *გამოდის, რომ თქვენ არ გსურთ მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიური მოძრაობის სუვერენიტეტის აღიარება.*

— გვსურს, მაგრამ გვსურს ის, რომ რესპუბლიკების ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა პროპაგანდა გაუწიონ ოლიმპიურ იდეებს თავიანთ ტერიტორიაზე.

აი, ამას მივესალმებით.

● *სულ ეს არის?*

— ეს ცოტა არ არის. სპორტი პოლიტიკის თანმდევია, ასე რომ, ვიმეორებ; ვიდრე არ გექნებათ პოლიტიკური თავისუფლება, ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობას ვერ შეძლებთ.

● *საქართველოს რესპუბლიკამ გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ საკავშირო დაქვემდებარებიდან თანდათან გამოვა ყველა დარგი და სფერო, რომელიც „ცენტრთანაა“ მიჯაჭვული. გარდამავალ პერიოდში საქართველოს სპორტული ფედერაციები რომ საკავშირო ფედერაციებს გამოეყონ, თქვენ კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღიაროთ, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.*

— თქვენ გჯერათ, რომ თუნდაც ჩვენი აღიარების შემდეგ სოკ-ი ხელს გამოგიწვდით და თავის რიგებში მიგიღებთ? არავითარ შემთხვევაში, ერთი ქვეყნიდან ერთი ოლიმპიური კომიტეტი — ჯერჯერობით ასეა. ქვეყანა არ დანაწევრებულა. ხომ ხედავთ, ისევ პოლიტიკურ საკითხს მივადექით.

● *ოლიმპიური ქარტია იმასაც ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ სპორტსმენს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეა, ეძლევა უფლება გამოვიდეს თამაშებში: ჯერჯერობით ჩვენ მართლაც ერთი ქვეყნის მოქალაქენი ვართ...*

— გინდათ მითხრათ, რომ თუ თქვენი ფედერაციები საკავშიროს გამოეყოფიან, საქართველოს წარმომადგენელი მაინც წავა თამაშებზე, როგორც საბჭოთა მოქალაქე? არც ეს მოხდება. სპორტსმენებს ოლიმპიური თამაშებისთვის საკავშირო ფედერაციები არჩევენ, ფედერაცია კი ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის წევრია — გათავდა!

● *ვთქვათ, საქართველოს სპორტსმენებმა უარი განაცხადეს საბჭოთა ნაკრებში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე...*

— ეს თქვენი პრობლემაა და არა ჩვენი.

● *მაინც რას ფიქრობთ: ვერ დავიჯერებთ, რომ თუნდაც დღეს, ახლანდელ სიტუაციაში, გამოსავალი არ არის, მაგრამ...*

— ჩვენ განუხრელად დავიცავთ ოლიმპიურ ქარტიას. ისე, დიალოგს რესპუბლიკებთან არ გავურბივართ“.

თენგიზ გაჩეჩილაძე,

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 41-50, 52, 55, 57

სიდნეი-2000 ● ჩვენი კანდიდატები

მირიან გიორგაძე

(ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)

დაიბადა 1976 წლის 15 მარტს თერჯოლაში ზოდიაქო — თევზები სიმაღლე 190 სმ, წონა — 120 კგ სპორტსაზოგადოება „დინამო“ მწვრთნელი — ვაჟა კრავეიშვილი ჭიდაობა დაიწყო 1989 წელს.

პირველი წარმატება — I ადგილი 1990 წლის საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე

საუკეთესო შედეგები: 1993 წ. თურქეთი, მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკებში — I ადგილი, 1994 წ, ავსტრია, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში — III ადგილი 1995 წ. ირანი, თეირანი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებში — II ადგილი 1998 წ. შვეიცია. მსოფლიო ჩემპიონატი — IV ადგილი. 1998 წ. მსოფლიო რეიტინგით მძიმე წონით კატეგორიაში III ადგილი.

1999 წ. თბილისი გ. კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი — I ადგილი.

დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. სწავლობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების V კურსზე.

სანამ უშუალოდ მირიანს გავესაუბრებოდი ოლიმპიადის კანდიდატის შესახებ, კომენტარი ვთხოვე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეზა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს *ბეგი დარჩიას* და მის პირად მწვრთნელს *ვაჟა კრავეიშვილს:*

— მირიანი ახალგაზრდა, პერსპექტიული და ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოჭიდავეა. იგი გულღია, წესიერი და ზრდილობიანი პიროვნებაა. მწვრთნელთა და გუნდის წევრთა შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ... შრომისმოყვარეობაში მოიკოჭლებს. მეტი ოფლის ღვრა და ვარჯიშისადმი მეტი სერიოზულობა მართებს, რათა უფრო აიმაღლოს ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების დონე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ მის ოლიმპიურ მედალზე.

ახლა კი, მოდით თვით მირიანს მოვუსმინოთ.

● *მირიან, როგორ ემზადებით სიდნეის ოლიმპიური თამაშებისათვის?*

— შეიძლება ითქვას, რომ მზადების ნორმალური პირობები გვაქვს, მაგრამ სურვილია უკეთესი იყოს.

● *უკეთესში რას გულისხმობთ?*

— უფრო მეტ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების რაოდენობის გაზრდას, რაც, ცხადია, კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი მომზადების დონეს.

● *რომელ შეჯიბრებაზე აპირებთ ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას?*

— მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართება წლეულს, 23-27 სექტემბერს ათენში. იქ I-VIII ადგილზე გასული სპორტსმენები სიდნეიში იასპარეზებენ, სულ თითოეულ წონით კატეგორიაში გამოვა 20 მონაწილე. ე.ი. 8 მოჭიდავე დაიშვება მსოფლიოს ჩემპიონატიდან, 5 მოჭიდავე კონტინენტების ჩემპიონატებიდან (პირველ ადგილზე გასულნი) და 7 მოჭიდავე სალიცენზიო ტურნირებიდან.

● *ვინ მიგაჩნიათ ავსტრალიაში თქვენს შესაძლო კონკურენტად?*

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რუსი ლეგენდარული მოჭიდავე ოლიმპიური თამაშების სამგზის და მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი, 32 წლის ალექსანდრ კარელინი, რომელიც ჩემზე 15 კილოგრამით მძიმეა. ასევე ძლიერი კონკურენტი იქნება იური ეასეიჩიკი ისრაელიდან და იგორ დებელკა ბელარუსიიდან, რომელთა შესახებ საკმაო ინფორმაცია გაგვაჩნია.

● *ალექსანდრ კარელინს თუ შეხვედრიხართ ხალიჩაზე, როგორ აპირებთ ამ გოლიათთან შერკინებას?*

— მისი ჭიდაობის სტილი და მანერა ჩემთვის კარგადაა ცნობილი, 1998 წელს მსოფლიოს პირველობაზე შვე-

იხ. მე-3 გვ.

ბათუმი ევროპის ჩემპიონატის მოლოდინში

(პირველი გვერდიდან)

ენს ქვეყანას, აჭარას, თვით საქართველოს სამხრეთ ჭიშკარს – ბათუმს. არამედ ფინანსურადაც – თქვა ზურაბ აზმაიფარაშვილმა.

ბორის კუტინმა კი განაცხადა: „ვიცნობ თქვენს ქვეყანას, ვიცნობ ქართველ ხალხს, აჭარას – საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს, საქართველოს ამ მშვენიერ მხარეს. აქ 40 ქვეყნის მოჭადრაკეები ჩამოვლენ. მსოფლიოს ცნობილ მოჭადრაკეთა 80 პროცენტიც ამ კონტინენტზე ცხოვრობს და მოღვაწეობს. როგორც მასპინძლები, საქართველო ორი გუნდით იასპარეზებს. მეორე გუნდში ძირითადად აჭარის მოჭადრაკეები შევლენ. მანაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მასპინძლების 12 კანდიდატიდან, ორ ეტაპად ჩატარებულ ფარულ კენჭისყრაში, ორივეჯერ ბათუმმა გაიმარჯვა.

კითხვაზე თუ რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო სკოლაში, რატომ დათმეს პოზიციები ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა უპასუხა, რომ ვაჟთა ჭადრაკი ამ ბოლო დროს აღმავლობის გზაზეა. ქალთა ჭადრაკმა, გარკვეულად მართლაც დათმო პოზიციები. მაგრამ მოდის ახალი ცვლა, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას.

დასასრულ ითქვა, რომ ევროპის ამ ჩემპიონატში, პირველად იასპარეზებენ უსინათლო ვაჟთა და ქალთა გუნდები. ფაქტობრივად ეს იქნება მსოფლიოს ნაკრები, ისინი საკმაოდ ძლიერები არიან და ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ ცნობილ დიდოსტატებსაც კი.

ოთარ მურვანიძე,
„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.
ბათუმი.

ნიჩბოსნობა სამხარეო პირველობა

მცხეთელები აალორძინებენ ნიჩბოსნობას

ბაიდარასა და კანოეში მცხეთათიანეთის მხარის ღია პირად პირველობას უმასპინძლა ამ დღეებში მცხეთამ, სადაც ადგილობრივი ნიჩბოსნების გარდა თბილისის, ფოთის და დუშეთის წარმომადგენლებმა იასპარეზეს ორ ასაკობრივ ჯგუფში. პროგრამაში იყო მხოლოდ 250 და 500 მეტრზე ერთ და ორ-ადგილიანი ნავებით შეჯიბრება. უმცროსებში 250 მ-ზე ერთადგილიანი ბაიდარებით სტარტიდანვე დაწინაურდნენ მცხეთელი ძმები ოლეგ და ვიტალი ოლეინიკები, რომლებმაც დანარჩენ მონაწილეებს გამარჯვების მცირე შანსიც არ დაუტოვეს. ფინიშის ხაზი პირველმა ოლეგმა გადაკვეთა, ვიტალი მეორე იყო, რომელმაც თავის მხრივ საკმაოდ ჩამოიტოვა მესამე პრიზიორი, თბილისელი გიორგი მათიაშვილი.

ერთადგილიანი კანოეთი ფავორიტად მცხეთელ იგორ გეორქიანს მიიჩნევდნენ. მართლაც, ფინიშთან იგი პირველი იყო. მეორე ადგილზე გავიდა დუშელი ნიკო დუდაური, მესამეზე – მცხეთელი ნიკოლოზ პესტიკი, გეორქიანმა ავთანდილ გვილავასთან ერთად ორადგილიან კანოეთი გაიმარჯვა, მეორე ადგილი ასევე მცხეთელებმა – ნიკოლოზ პესტოვმა და ჩილინდრიშვილმა დაიკავეს.

ორადგილიანი ბაიდარებით გაცურვაში ადგილები ასე განაწილდა: 1. ძმები ოლეინიკები, 2. სოსო შეშაბერიძე – მათიაშვილი (თბილისი).

500 მ-ზე ერთადგილიანი ბაიდარით პირველი ადგილი დაიკავა ვიტალი ოლეინიკმა, ერთადგილიანი კანოეთი – იგორ გეორქიანმა.

ორადგილიან ბაიდარით გამარჯვება კვლავ ძმებ ოლეინიკებს ხვდათ, ორადგილიანი კანოეთი იგორ გეორქიანმა და ავთანდილ გვილავამ იმარჯვეს.

უფროს ასაკში წარმატებით იასპარეზა ფოთელმა ლევან ქურიძემ, რომელმაც ერთადგილიანი ბაიდარით ორივე დისტანციაზე საგრძნობლად ჩამოიტოვა დანარჩენი მონაწილეები, ერთადგილიანი კანოეთი უძლიერესი იყო დუშელი ხ. ჩიხაშვილი. მცხეთელი ნიჩბოსნებიდან ამ ასაკში ყველაზე კარგად ზურაბ ზურაბიშვილმა იასპარეზა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა ერთადგილიანი ბაიდარით 500 მ-ზე, ფოთელ ლევან ქურიძის შემდეგ.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მცხეთის რაიონის გამგეობის ფასიანი საჩუქრებით, რისთვისაც მონაწილეები მადლობას უხდიან არმაზ შამანაურს.

ბურამ მამულაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

რედაქციის შენიშვნა: სამწუხაროდ, წარმოდგენილ ინფორმაციაში ზოგან არ ჩანან პრიზიორები. ასეთი შემთხვევები კი იშვიათი არაა. ყველას ვთხოვთ, ადგილებიდან რედაქციას მიაწოდონ სრულყოფილი ინფორმაცია.

ᲒᲘᲕᲘ ᲙᲝᲙᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲔᲡᲔᲪ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

დღევანდელი პარამეტრებით თუ მივუდგებით, ეს ტურნირი აშკარად არ იყო წმინდა სპორტული თვალსაზრისით იმ დონისა, ჩოგბურთის გურმანები რომ დამტკბარიყვნენ თავგრუდამზვევი „ხვეული“ და „მოჭრილი ჩაწოდებების“ ხილვით, თანაც, იგი წარსულთან შეხვედრა უფრო გახლათ, რაც ყოველთვის გარკვეული სევდის იწვევს. და მაინც, იმ დღეს მარჯანიშვილზე, ლეილა მეხის ჩოგბურთის ყადემიის ლია კორტებზე ბურთი ზეობდა, მას კი ყოველთვის თან სდევს ზეიმი და იგი ნამდვილად შედგა.

ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გამართული ეს ასპარეზობა წარსულში გამოჩენილი ქართველი ოსტატის გივი კოკაიას დაბადებიდან 70-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა. მიუხედავად ასეთი „ვიწრო“ მასშტაბისა, იგი სრულიადაც არ ყოფილა სიმბოლური ხასიათისა და მასში საკმაოდ ძლიერმა ძალებმა მოიყარა თავი. 35 მონაწილეს შორის იყვნენ კარგად ცნობილი ოსტატები, მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული, განეფოს თამაშების პრიზიორი ირინა ერმოლოვა, სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორებში მარინე მალაციძე, სპორტის ოსტატები გია ელერდაშვილი, ასევე წარსულში „მცირე ბურთის“ ცნობილი ოსტატი, ხელბურთელი თამაზ ანთაძე, რომლის პირველი სერიოზული სპორტული გატაცება ბავშობაში ჩოგბურთი ყოფილა, ვლადიმერ გოგლიძე, თენგიზ კერესელიძე, მოფარული — ვეტერანები ორთოპედი ირაკლი თოფურიძე, „დინამოს“ საჩოგბურთო კლუბის პრეზიდენტი მირიან ანდრიაძე, 85 წლის დავით თაქთაქაშვილი, ფრანც ჯაფარიძე. მონა ილეთა ასეთი წარმომადგენლობა, იუბილარის პოპულარობის აღიარებაა და იგი იმან განაპირობა, რომ გივი კოკაია მეტად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს ქართულ ჩოგბურთში, ერთგვარი შემაერთებელი რგოლია 40-იანი წლებისა და შემდეგ თაობებს შორის. სწორედ მას უმადლიან იმ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ედუარდ ნეგრებეცკის, არჩილ მდივნისა და ვანო ელერდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვებებმა რომ დაუდეს საფუძველი. მან აქვე, მარჯანიშვილის კორტებზე აიდგა ფეხი ჩოგბურთში და ერთი წლის შემდეგ — 1946 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ჭაბუკთა შორის და ეს წოდება მომდევნო წელსაც შეინარჩუნა. შემდეგ ზედიზედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა მოზრდილებში, 1948 წლიდან საკავშირო ნაკრებში გამოდიოდა. 1952 წელს მისი თავკაცობით საქართველოს ვაჟთა ნაკრები თბილისში საკავშირო თასის გათამაშების ფინალში იბრძოდა მოსკოვის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ და მოიპოვა ვერცხლის მედლები, 1956 წელს კი სსრ კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე საქართველოს ჩოგბურთელებმა მისი წინამძღოლობით მეხუთე ადგილი დაიკავეს (სპარტაკიადაზე პირველი ექვსი ადგილი სპრიზო იყო).

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი გივი საინჟინრო აკადემიის წევრი და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იგი იკვლევს საქართველოს მთიანეთის ტყის ეკოლოგიას.

გივი კოკაიას საიუბილეო ტურნირის ფინალში (შეხვედრები მხოლოდ წყვილთა შორის ჩატარდა) იბრძოდნენ ირაკლი თოფურიძე — დავით ასათიანი და მირიან ანდრიაძე — გია ელერდაშვილი. ანგარიშით 7:5, 6:3 გამარჯვება ამ უკანასკნელთ დარჩათ.

შეჯიბრების დახურვის ცერემონიალზე ვეტერან იუბილარს სამახსოვროდ, რა თქმა უნდა, ჩოგანი გადასცეს...

ᲣᲨᲐᲜᲒ ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ

ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲤᲘᲐᲡᲙᲝ ᲚᲐᲗᲘᲜᲝᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲨᲕᲐ

FIFA COPA CONFEDERACIONES MEXICO 1999

როცა საფრანგეთი-98-ზე გერმანიის ეროვნული ნაკრები 1/4 ფინალს ვერ გასცდა, მყისვე გაჩაღდა პოლემიკა არიელთა ფეხბურთის გლობალურ კრიზისზე. ახლა კი მათმა უპირველესმა გუნდმა ამ ტურნირის ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია და ადვილი წარმოსადგენია რა ერთი უშველებელი ატყდებოდა გერმანულ პრესაში — გერმანია ხომ აშშ-თან დამარცხდა 0-2 (B ჯგუფი). აღსანიშნავია, რომ წლეულის თებერვალში გერმანელებმა ამხანაგურ მატჩშიც იწვნიეს მარცხი ამერიკელებთან ფლორიდაში ჩატარებულ ტურნირში (0-3). ევროპისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს ამერიკელებმა მართლაც რომ სირცხვილი აჭამეს. თუმცა, ყოველივე ეს, მაინც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ გერმანულ ფეხბურთს სავალალო დასკვნა გამოვუტანოთ. მათი ნაკრები წარმატებით ასპარეზობს ევრო-2000-ზე, ბუნდესლიგის გათამაშებასაც თავისი ლაზათი არ მოჰკლებია და არც ევროტურნირებზე ირცხვენენ თავს არიელთა კლუბები. განტევების ვაცად უფრო ნაკრების თავკაცი ერიხ რიბეკი უნდა მივიჩნიოთ, რომლის წყალობითაც ვარსკვლავებით გაღარიბებული გერმანული ფეხბურთის სახე — ეროვნული ნაკრები ხელოვნურადაც გაღარიბდა მაღალი კლასის შემსრულებლებით. კონკრეტულად, კონფედერაციის თასის გათამაშებაში გერმანელთა უსუსურ გამოსვლას სხვა მიზეზებიც აქვს: გუნდი სპეციალურად არ მომზადებულა ამ ტურნირისთვის და ბევრმა წამყვანმა მოთამაშემაც უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე.

B ჯგუფის ბოლო ტურის მეორე მატჩში, წამყვანი ფეხბურთელებით გერმანელებზე გაცილებით გამეჩხერებულმა ბრაზილიელებმა ახალზელანდიელებს სძლიეს 2-0. ნახევარფინალში კი მათ საუდის არაბეთს ჩაუტარეს გაკვეთილი (8-2). ფინალში ტეტრაკამპეონები ასევე ლათინოამერიკელებს გაეჯიბრებიან — მექსიკამ გზად „ოქროს გოლით“ გერმანელთა შემარცხვენელი აშშ ჩამოიცილა (1-0).

4 აგვისტოს მეხიკოში გადამწყვეტი მატჩია. ფინალში ბრაზილიისა და მექსიკის ნაკრებები ითამაშებენ.

ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ

„კონფედერაციის თასზე“ თამაში იმ პერიოდს დაემთხვა, როცა გერმანელი ფეხბურთელები სეზონისათვის სათანადოდ მომზადებული არ იყვნენ, მათი დიდი ნაწილი ხომ ეს-ეს არის დაბრუნდა საზაფხულო არდადეგებიდან — ასეთია ჟურნალისტების აზრი, რომლებიც ცდილობენ როგორმე გაამართლონ ნაკრების მძიმე მარცხი მექსიკაში. 0-4 ბრაზილიელებთან, 2-0 ახალზელანდიელებთან და 0-2 — აშშ-ს ნაკრებთან.

ასეთი ჟურნალისტი ცოტაა, სხვები კი აღნიშნავენ ნაკრების უაღრესად უსუსურ თამაშს და თვლიან, რომ იგი მექსიკაში არ უნდა გამგზავრებულიყო, თუნდაც ექსპერიმენტული შემადგენლობით.

ნაკრების მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა აღიარა, რომ მისმა ფეხბურთელებმა უაღრესად სუსტად ითამაშეს. მეორე მხრივ, გუნდს რომ „კონფედერაციის თასზე“ თამაშზე უარი ეთქვა, ეს გააუარესებდა გერმანიის შანსებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების უფლებისათვის ბრძოლაში.

ნაკრების კაპიტანი, 38 წლის ლოთარ მათეუსი ასევე ძალზე უკმაყოფილია გუნდის თამაშით, მაგრამ ხაზს უსვამს შეჯიბრების ჩატარებას გერმანელებისათვის მეტად უხერხულ დროს და იმასაც, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ამა თუ იმ მიზეზით მექსიკაში არ გამგზავრებულა. ამ დიდი მატჩის შემდეგ ერთი რამ რჩება — გერმანელებმა ძალების სრული მობილიზაციით უნდა ჩაატარონ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დარჩენილი თამაშები.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ�გᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲘᲨᲝᲕᲔᲪᲘ: ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ

ცნობილი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი, როგორც ცნობილია, რუსეთიდან მშობლიურ უკრაინაში დაბრუნდა და დონეცკის „შახტიორს“ ჩაუდგა სათავეში. მოელიან, რომ იგი ვალერი ლობანოვსკისა და კიევის „დინამოს“ მთავარი ოპონენტი გახდება.
ბიშოვეცის ვრცელი ინტერვიუ მოყვის „ფუტბოლში“ გამოქვეყნდა. აი რამდენიმე ნაწყვეტი:

● ***უკრაინის ამ ჩემპიონატის შემდეგ უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდების რიცხვი 16-დან 14-მდე მცირდება. რითი უნდა აიხსნას ეს გადაწყვეტილება, რამდენად სწორია?***

— ვფიქრობ სწორია და აი, რატომ. ახლახან მივედი „შახტიორში“ და აღმოჩნდა, რომ გუნდი თვეში 8-10 მატჩს ატარებს, მაგრამ ყოველი სამი დღის შემდეგ რომ ითამაშო, სულ აღარ გრჩება დრო სასწავლო-სავარჯიშო პროცესისათვის. ოსტატობის ზრდაზე კი მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა კალენდარი ამის საშუალებას გაძლევს. სტიმული ექმნება მწვრთნელის მუშაობას.

● ***მაშ რა გუყოთ ევროპის ქვეყნების ინგლისის, იტალიის, ესპანეთის, გერმანიის ჩემპიონატებს, სადაც ჩვეულებრივ მეტი გუნდი გამოდის? ამასთან, ისინი რომ ევროტურნირებშიც თამაშობენ?***

— ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ქვეყნების საუკეთესო კლუბები მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებულნი და თანაც, კარგი რეზერვიც აქვთ შექმნილი. მდიდარი კლუბები სულაც არ უცდიან, როდის დაწინაურდებიან თავიანთ ჭაბუკთა გუნდების აღსაზრდელები. ისინი ამჯობინებენ უკვე მომზადებული ოსტატების მიწვევას სხვა კლუბებიდან. ჩვენ კი ფული საერთოდ არა გვაქვს, ახალი კადრების მომზადების სისტემაც არ გვივარგა, მოშლის პირასაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძალიან ცოტა ნიჭიერი ახალგაზრდა მოდის და ადაპტაციას, მოსამზადებელი დროის გავლას საჭიროებენ. ცოტა მოდის და უფრო მეტი მიდის, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ჭაბუკებს უფრო მდიდარი კლუბები იწვევენ. ასეთ პირობებში კი უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე კლუბების 14-მდე შემცირება კარგი გადაწყვეტილებაა. უფრო მოფიქრებული კალენდარი სრულყოფილი სავარჯიშო პროცესის ჩატარების საშუალებას მოგვცემს. რუსეთში, ისევე როგორც უკრაინაში უმაღლეს ლიგებში თამაშობს 3-4 კლუბი, რომლებიც თავიანთი ლოკალური ამოცანების გადაწყვეტას ცდილობენ, ეს კი სულაც არ არის დაკავშირებული ოსტატობის დონის საერთო ზრდასთან. გადავიდნენ ისინი პირველ ლიგაში, ამით რა დაშავდება?

ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

ციაში მე და კარელინი სხვადასხვა ჯგუფში გამოვდიოდით, ასე რომ, ერთმანეთს ავცდით. მე IV ადგილი დავიკავე, ის კი ჩემპიონი გახდა. ათენში თუ მასთან ჭიდაობა მომიწია, მე სისწრაფე უნდა დავუპირისპირო. დანარჩენს კი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ვიმოქმედებ.

● ***მსოფლიოს ჩემპიონატამდე როგორია თქვენი მზადების გეგმა-გრაფიკი?***

— 21 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით ბაკურიანში ტარდება სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 12-13 აგვისტოს მონაწილეობას მივიღებ პოლონეთის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში. 17-30 აგვისტოს სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ჩაგვიტარდება მინსკში — სტაიკებში. დასკვნითი შეკრება კი გვექნება 6-20 სექტემბერს ბათუმში, საიდანაც 21 სექტემბერს ათენში გავემგზავრებით.

● ***სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილისათვის იბრძოლებთ?***

— იმედი მაქვს უმედლოდ არ დავრჩები.

● ***მირიან, გარდა ოფიციალური სტრუქტურების მხარდაჭერისა, მხედველობაში მაქვს ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი, თუ არის რომელიმე პიროვნება, რომელიც მხარში ამოგიდგებათ?***

— მე დიდად ვემადლიერები მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რომან რურუას, რომელიც მორალურად და ფინანსურად მშობელ მამასავით მხარში მიდგას. მისგან ვიღებ რჩევა-დარიგებებს. იგი ჩემთვის კაცური კაცობის ეტალონია. ასევე არ მინდა დავივიწყო ის დახმარება და მხარდაჭერა, რაც ჩვენი ნაკრების წევრებს აღმოუჩინა ბორჯომელმა მწვრთნელმა ბესიკ ბესტავაშვილმა, რომელიც არეულობის პერიოდში, ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად. იგი სისტემატურად გვიწვევდა სტუმრად ნაკრების წევრებს გიორგი ჭინჭველაშვილს, ბესარიონ ზურაბიანს, ემზარ მახარაძეს და მე ჩვენს მწვრთნელთან ვაუა კრავეიშვილთან ერთად. გვიწყობდა ოს მოჭიდავეებთან ერთად სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს და ერთად გამოვდიოდით საერთაშორისო ტურნირებში. ეს ჩვენთვის იმ პერიოდში უდიდესი მხარდაჭერა იყო. ოსი სპორტსმენები და მწვრთნელები ღვიძლი ძმებივით და შვილებივით გვექცეოდნენ, რომლის დავიწყებაც ჩვენი მხრიდან უმადურობა იქნებოდა.

● ***მირიან, ბავშვობის დროიდან მოყოლებული ვინ არის თქვენი სათაყვანებელი პიროვნება, იქნებ, კერპიც...***

— ისინი ორნი არიან — გივი კარტოზია და რომან რურუა.

● ***ცხადია, ოლიმპიური მზადების დაძაბულ და გადატვირთულ ციკლში თავისუფალი დრო ძალზე ცოტა გრჩებათ. მიუხედავად ამისა, როგორ იყენებ მას?***

— მართალია, თავისუფალი დრო ძალზე ცოტა მრჩება, რომელსაც მეგობრებთან ვატარებ, ხანდახან სათევზაოდ მივდივარ ხოლმე.

● ***რას ფიქრობთ, სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ თავს ხომ არ გაანებებთ ჭიდაობას?***

— არა, რესურსები მთლიანად არ ამომიწურია, ოლიმპიადის შემდეგ ვარჯიშს გავაგრძელებ, რათა ოცნებები ბოლომდე ავისრულო, პარალელურად ოჯახის შექმნასაც ვაპირებ.

● ***თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ, საცოლე ალბათ შერჩეული გყავთ...***

— (ეღიმება) სიამოვნებით, არის ერთი ქალიშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სახელად ნინო, გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, სიყვარულსა მალვა უნდაო, ხომ იცით...

● ***ისლა დაგვრჩენია, გისურვოთ ყველა ოცნების ასრულება.***

— დიდი მადლობა!

ესაუბრა
ᲘᲣᲠᲘ ᲘᲛᲔᲠᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲚᲐᲛᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲘ“

აი, რას წერს მოსკოვის „სოვეტსკი სპორტი“ თბილისის „დინამოს“ ახალი მეკარის შესახებ.

„რა უშავს, რომ დანი დონდტი უკვე 36 წლისაა. ეს ასაკი მეკარისათვის არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში იგი ბელგიის საუკეთესო მეკარედ ითვლებოდა, იყო ნაკრების კანდიდატიც. იცავდა „აალსტის“, „ვარეგემის“ კარს, მაგრამ ყველაზე დიდი სახელი „ლოკერენში“ მოიპოვა, რომლის კაპიტანიც იყო. ბოლო სეზონში ერთ მატჩში 3 (!) თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოიგერია, თავის ხანგრძლივ კარიერაში კი ათზე მეტ პენალტისტს აჯობა.

...„ᲕᲔᲠᲝᲜᲐᲛ“ ᲓᲐᲘᲬᲣᲜᲐ

იტალიის „სერია A“-ში „ვერონამ“ უარი განაცხადა ცნობილ ბრაზილიელ მცველ ზე მარიაზე, რომელსაც ამ კლუბში გადასვლა სურდა.

თუმცა კლუბის დირექტორ-აღმასრულებელმა ჯამბატისტა პასტორელიმ განაცხადა, რომ გარიგება ტექნიკურ საკითხებზე შეუთანხმებლობის გამო არ შედგა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი სხვა უოფილა: თურმე კლუბის ხელმძღვანელობას რასისტები სასტიკი ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, თუკი ზანგ მოთამაშეს მიიწვევდა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ინგლისის სუპერთასი ● 2-1 „არსენალის“ სასარგებლოდ

კვირას გაიხსნა ახალი საფეხბურთო სეზონი ინგლისში. ლონდონის „უემბლის“ მაყურებლებით სავსე სტადიონზე ქვეყნის სუპერთასზე ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ლონდონის „არსენალი“. შარშან მათი შეხვედრა ინგლისის სუპერთასზე ლონდონელების გამარჯვებით დასრულდა.

პირველი ტაიმი „მანჩესტერ იუნაიტედის“ საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბეკჰემმა დაახლოებით 35 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. თამაშის მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. „არსენალმა“ ზედიზედ ორი გოლი გაიტანა (კანუ, პარლორი), გაიმარჯვა ანგარიშით 2-1 და შეინარჩუნა სუპერთასი.

„30 ათასს ვიღებდი, აქედან სახელმწიფოს მიპქონდა“ 29

ახლო წარსულში კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა ვაგნერ ხიდიატულინმა გაიხსენა ის დრო, როცა საბჭოთა მოთამაშეთაგან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო გამოსვლა საფრანგეთის ჩემპიონატში, „ტულუზას“ შემადგენლობაში.

პელეს ჯილა აფრიკაა

ფიფას სათავეში ზეპ ბლატერის მოსვლის შემდეგ ბევრ რამეს შეიცვლა და მოდერნიზება რომ უწერია, ვერავინ უარყოფს. ამ ორგანიზაციის საქმიანობა ახლა, სწორედ ამიტომ გახლავთ ერთ-ერთი პოპულარული თემა. გთავაზობთ ნაწყვეტს პელესთან „World Soccer“-ში გამოქვეყნებული ინტერვიუდან, რომელიც ფიფასა და მის პრეზიდენტზე საუბარს მოიცავს.

● *ჟოაო აველანჟის გადადგომის შემდეგ როგორია თქვენი დამოკიდებულება ფიფასთან?*

— ფიფასთან ყოველთვის ბრწყინვალე ურთიერთობა მქონდა — აველანჟის პრეზიდენტობის დროს და ახლაც, როცა ამ ორგანიზაციას ბლატერი თავკაცობს. ამას არავითარი საერთო არა აქვს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ, აველანჟის სიძე რიკარდო ტეშეირასთან ჩემს ურთიერთობას...

უნდა აღინიშნოს, რომ ბლატერის პრეზიდენტობისას ფიფაში როგორც იქნა შეიქმნა კომიტეტი, რომელიც აერთიანებს ფეხბურთელებს, მსაჯებსა და ჟურნალისტებს. ახლა შესაძლებელია ღიად, დემოკრატიულად განვიხილოთ თანამედროვე ფეხბურთისა და მისი მომავლის მტკივნეული პრობლემები. ბლატერის ხელმძღვანელობით ფიფა უფრო პროფესიონალურად და ხარისხიანად მუშაობს.

● *მხოფლიო ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარების იდეაზე რას გვეტყვით?*

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ეს მხოლოდ 2006 წლის მონდიალის დამთავრების შემდეგ უნდა იქცეს განსჯის საგნად. საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ ორ წელიწადში ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება მთელ რიგ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. ამისთვის ფიფას ყველა კონტინენტური კონფედერაციის პრეზიდენტებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას საერთო კალენდრის შესამუშავებლად, რომელიც ყველასათვის ოპტიმალური იქნება.

● *თქვენი აზრით, რომელი ქვეყანა გახდება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი?*

— ეს ძნელად პროგნოზირებადია, რადგან სამხრეთ აფრიკას, ინგლისს, გერმანიას, ბრაზილიასა და არგენტინას შორის საკმაოდ მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული. მე მსურს, რომ მონდიალი აფრიკის კონტინენტზე ჩატარდეს. ხმის უფლება რომ მქონდეს, ბრაზილიას კი არა, აფრიკას დავუჭერდი მხარს.

— საფრანგეთში 1988 წელს გავემგზავრე (28 წლისა). ჩვენთის მაშინ 1000 დოლარი უზარმაზარი თანხა იყო. ვფიქრობდი, რომ ძალიან კარგ კონტრაქტს მოვაწერე ხელი, უზრუნველყოფილი, ნორმალური ადამიანი ვიყავი. კონტრაქტის ძალით თვეში 30 ათას დოლარს ვიღებდი, აქედან 29 ათასს სახელმწიფო მართმევდა. მხოლოდ ათასს მიტოვებდნენ. ამას უნდა დავუმატოთ მანქანა, ბინა, სახლი, უფასო მაღაზია, რასაც კლუბი მინაზღაურებდა.

ხიდიატულინი ფიქრობს, რომ ასეთ ასკში უცხოეთის კლუბში გადასვლა ძალიან დაგვიანებულია.

— თუკი ციმბალარს ახლა გაყიდიან, იგი თავის შესაძლებლობებს ვეღარ გამოამჟღავნებს. ონოპკო „სპარტაკში“ მშვენივრად თამაშობდა, უცხოეთში კი დაიკარგა.

ხიდიატულინმა განაცხადა, რომ ისეთი ასაკოვანი ფეხბურთელებისათვის, როგორიც არიან ტიხონოვი ან ვერტენიკოვი, ასევე აღარ ღირს უცხოეთის კლუბებში გადასვლა.

„მილანიდან“ – „მიდლსბროში“

როგორც „მილანის“ წარმომადგენელმა განაცხადა, კლუბი თანახმაა ინგლისურ „მიდლსბროს“ დაუთმოს გერმანელი განაპირა მცველი კრისტიან ციგე.

ინგლისელებმა „მილანს“ დაახლოებით 14 მილიარდი ლირა (7,7 მილიონი დოლარი) უნდა გადაუხადონ. ციგე იტალიურ კლუბში 1997 წელს მიუნხენის „ბაიერნიდან“ მივიდა, „მილანთან“ ოთხწლიანი ხელშეკრულება კი დადო, მაგრამ ბევრი არ უთამაშია, ჯერ ავადმყოფობის, შემდეგ კი არასაკმარისი საბრძოლო მზადყოფნის გამო. ამდენად, მისთვის ინგლისურ კლუბში გადასვლა გამოსავლად უნდა ჩაითვალოს.

კოლუმბიელები „COPA AMERICA“-ს რეფორმას აპირებენ

2001 წელს „Copa America“-ს ჩატარება კოლუმბიას დაევალა. კოლუმბიელები კი ამ შეჯიბრების ფორმულის შეცვლას აპირებენ. კერძოდ, მონაწილეთა რიცხვი 16-მდე გაიზრდება, უკვე ცნობილ 12 ნაკრებს აშშ-ს, სამხრეთ კორეის, ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებებიც დაემატება. ერთი სიტყვით, ტურნირ-ს სამხრეთ ამერიკის ოფიციალური ჩემპიონატი კი ერქმევა, მაგრამ ექსი მოწვეული გუნდი ითამაშებს.

შეჯიბრების ჩატარების ფორმულა კი ასეთი იქნება. ჯერ მონაწილეები 4 ჯგუფად დაიყოფიან. 4-4 ნაკრებით ორ-ორი გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე გავა. ეს 8 გუნდიც ორ ჯგუფად გახაწილდება, ვინც ამ ჯგუფებში პირველ ადგილებს დაიკავებს, უკვე გადამწყვეტ მატჩში ითამაშებს ჩემპიონის გამოსავლენად.

რონალდო იმედით განიმსჭვალა

იმ უხეირო წინა სეზონის შემდეგ, როცა რონალდომ ვერა და ვერ შეძლო მთელი ძალით თამაში, ახლა იგი კმაყოფილია თავისი გამოსვლით „Copa America“-ში და მადლობას უხდის ვანდერლეი ლუქსემბურგოს ნაკრებში მოწვევისა და მორალური მხარდაჭერისთვის.

ბრაზილიის ნაკრების თითოეულ მოთამაშეს ამ ტურნირში გამარჯვებისთვის ჯილდოდ 50 ათასი დოლარი მისცეს. ამ თანხიდან რონალდომ 30 ათასი გადასცა ბავშვთა ონკოლოგიური საავადმყოფოს „შენებისთვის“ რიო-დე-ჟანეიროს ცენტრში. შემდეგში ამ შენობას რონალდოს სახელი დაერქმევა. დანარჩენ 20 ათას დოლარს ფეხბურთელი ასევე ორ სხვა საავადმყოფოს გადასცემს.

ასეთ კარგ ხასიათზე მყოფ რონალდოს ერთი უსიამოვნება მაინც არ ასცდა. მისი სახელი ახსენეს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც პროსტიტუციისა და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან არიან დაკავშირებული. უფრო ზუსტად: მილანში დაუპატიმრეს 31 წლის ბრაზილიელი ქალი ლაზარა სოუზა დე მორაისი, რომლის წინააღმდეგ აღიძრა კიდეც საქმე პროსტიტუციისა და კოკაინის გავრცელების ბრალდებით. იტალიის გაზეთებში დაიბეჭდა კიდეც სურათები, სადაც რონალდო ამ ქალთან არის გადაღებული, რამაც მთელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამის შესახებ რონალდომ ბრაზილიაში შეიტყო. მან რიო-დე-ჟანეიროს რადიოში გამოსვლისას გაბაცხადა, რომ ამ ქალს საერთოდ არ იცნობს.

გამომძიებლებმა, რომელთაც ეს საქმე მიჰყავთ, მიაგნეს ამ ქალს, დე მორაისს უბის წიგნაკს, სადაც ჩაწერილია რონალდოსა და კიდევ 35 ცნობილი ადამიანის ტელეფონები მათი მისამართებითა და ფოტოგრაფიებით. ფიქრობენ, რომ ყველა ეს ადამინი ამ ქალის „მომსახურებით“ სარგებლობდა, ათასობით დოლარს იხდიდა მასთან ან მის „კოლეგებთან“ გატარებულ საღამოებში.

საფრანგეთი ● ეროვნული ჩემპიონატი ● I ტური

მონაკო — სენტ-ეტიენი 2-2, ბორდო — ბასტია 3-2, ოლიმპიკი — სედანი 3-0, პსჟ — ტრუა 1-0, მეცი — რენი 0-0, ლიონი — მონპელიე 1-2, ოსერი — ნანსი 2-1, ნანტი — ჰავრი 1-0, სტრასბური — ლანსი 1-0.

დაუჯერეთ სვენ-ერან ერიქსონს!

სვენ-ერან ერიქსონი

ფეხბურთში მოვლენები მეტად სწრაფად ვითარდება — სპორტული და კომერციული ინტერესები გამალებით ერწყმის ერთმანეთს. რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი იმ მსხვილი ბიზნესმენის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, ვინც ქარის მმართულება დროულად ამოიცნო. გასული სეზონის დამდეგს კრანიოტიმ კარგა გვარიანად გამოიფხიკა ჯიბე „ლაციოს“ ინვესტირებისათვის. თუმცა ამაში მას მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი როდი ჩამოუვარდება, მაგრამ განსხვავება მათში ისაა, რომ მორატიმ თავისი მილიონები ჯერჯერობით ვერა და ვერ „ამოიღო“, ხოლო კრანიოტის ფინანსური პოლიტიკა კი უკვე შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული აღმოჩნდა. მან 1998-99 წლების სეზონისათვის 115 მილიონი დოლარი გაიღო. „ლაციომ შეიძინა ვიერი, სალასი, მიხაილოვიჩი... ეს რომაული კლუბი ერთობ მძლავრად ათამაშდა, ახალშეძენილმა მოთამაშეებმა გაამართლეს. მაგრამ ვარსკვლავთა ანსამბლი ჯერ კიდევ არ ნიშნავს სუპერგუნდს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის მწვრთნელის ზუსტად შერჩევა-მორგება. როცა „ლაციოს“ ზდენეკ ზემანი წვრთნიდა, გუნდი საკმაოდ სტაბილურად ასპარეზობდა, ოღონდ, მაქსიმუმი რომაელებისათვის ევროტურნირების საგზურის მოპოვება იყო. კრანიოტიმაც მიიჩნია, რომ ზემანის თავკაცობით გუნდი სერიოზულ შედეგებს ვერ მიაღწევდა და ის სვენ-ერან ერიქსონით შეცვალა — ეს 1997-98 წლების სეზონის წინ მოხდა. ასეთმა არჩევანმა არ უმუხთლა კრანიოტის, რადგან „ლაციომ“ იტალიის თასი მოიგო და უეფას თასის ფინალში გავიდა. გასულ სეზონში კი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, ხოლო „სკუდეტო“ ზედ ჩემპიონატის ფინიშის სწორზე გამოგლიჯა „მილანმა“.

იტალიურ ფეხბურთში ეს შვედი სპეციალისტი 1984 წელს მოვიდა, როცა „რომა“ ჩაიბარა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ერიქსონმაც რამდენიმე კლუბი „გამოიცვალა“, მაგრამ მისი თქმით, მას ჯერ არ უმუშავია ისეთ ძლიერ კოლექტივში, როგორიც ახლანდელი „ლაციოა“: „1984 წელს „რომა“ ბრწყინვალე გუნდი იყო — ფალკაო, ტონინიო სერეზო, ჯანინი, პრუცო, კონტი... მაგრამ მაშინ საშინელ ზეწოლას განვიცდიდი, რადგან „რომას“ უკვე მოპოვებული ჰქონდა იტალიის ჩემპიონობა და ყველანი ამ წარმატების გამეორებას მოითხოვდნენ. სულიერი სიმყუდროვის მხრივ „ფიორენტინაში“ მუშაობა უკეთესი გამოდგა, მაგრამ იმავდროულად ვგრძნობდი, რომ, რაც არ უნდა ლამაზად ეთამაშა „ფიორენტინას“, ტროფეის მაინც სხვა გუნდი ჩაიგდებდა ხელში — ეს მწვრთნელს გულს უცივებს. „ლაციოში“ კი ჩემზე პრესა ახდენს ზეწოლას, მაგრამ ეს იმის გათვითცნობიერებაში მეხმარება, რომ ჩვენ ძალა შეგვწევს მოვიგოთ ყველაფერი“.

ერიქსონი ნეგატიურად რეაგირებს იმაზე, რომ მწვრთნელების მიმართ ხშირად სულსწრაფნი არიან. მაგალითისათვის ის ასახელებს იუპ ჰაინკესისა და გუს ჰიდინკის დათხოვნას „რეალიდან“ და არიკო საკის — „ატლეტიკოდან“. სერია A-შიც მწვრთნელთა მთელი აღლუმი დაითხოვეს. „მწვრთნელი კვლავინდებურად რჩება უმთავრეს ფიგურად გუნდში, რადგან ის ორგანიზებას უწევს მას, ეწევა ფეხბურთელთა შერჩევას და წარმადგენს გუნდის რუპორს პრესაში. მწვრთნელი, აგრეთვე, მოვალეა მაღალ შედეგებს მიაღწიოს — ეს კი სერია A-ს თვრამეტივე გუნდს ერთდროულად არ ძალუძს“ — დასძენს ერიქსონი.

ერიქსონი „ლაციოში“ თავს კომფორტულად გრძნობს. კლუბმა მასთან კონტრაქტი 2002 წლამდე გააგრძელა, რის მიხედვითაც შვედი 2,3 მილიონ დოლარს მიიღებს წელიწადში. როცა ერიქსონს ჰკითხეს თუ რა უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს ფეხბურთის მომავალს, მან არც კომერციალიზაცია და არც „ბოსმანის საქმე“ დაასახელა — ის საფრთხეს მსაჯობაში ხედავს: „წვრთნის სისტემის სრულყოფით თამაში უფრო სწრაფი ხდება, რაც ზრდის მსაჯთა შეცდომების ალბათობას. თანაც ფეხბურთი კალათბურთი არ არის, სადაც ფეხბურთელის თუ მსაჯის ერთი შეცდომა ბევრს არაფერს წყვეტს, რადგან ანგარიში კალათბურთში ხშირად 100-მდე აღწევს. ფეხბურთში კი ტიპიური ანგარიშებია 1-0, 1-1, და 2-1. აშკარაა, რომ ასეთ შემთხვევაში მსაჯის ერთ შეცდომას შეუძლია გადაწყვიტოს მატჩის ბედი, ხანდახან კი ტურნირისაც. ფუნდამენტური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ ძალიან ცოტას თუ სურს მსაჯობა. არიან კარგი არბიტრები, მაგრამ მათ აკლიათ გამოცდილება, რადგან ასაკობრივი ცენზი მსაჯებისთვის 45 წელია და როცა ფეხბურთელი 35-37 წლის ასაკში ამთავრებს კარიერას, მას ძალიან ცოტა დრო რჩება მიიღოს გამოცდილება მსაჯობის სრულყოფისთვის. ამის გამო ვთვლი, რომ რეფერისთვის ასაკობრივი ცენზი 50 წელი უნდა იყოს, თუ არა და, მატჩებს ერთის ნაცვლად ორი არბიტრი უნდა მომესახუროს მოედნის თითოეულ ნახევარზე“.

რონალდინიო «გაუშო»

ბრაზილიაში ტალანტებს რა გამოლევს!

თუმცა ტალანტიც არის და ტალანტიც! ახლა კი, როგორც ჯერ ეს „Copa America“-მ, ხოლო შემდეგ „კონფედერაციის თასმა“ გვიჩვენა, უკვე შეიძლება ლაპარაკი კიდევ ერთ ნამდვილ ვარსკვლავზე, რომელიც მომავალ შეჯიბრებებშიც ბრაზილიის ნაკრებს დიდ წარმატებებს მოუტანს. იგი მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, უკვე კარგა ხანია, რონალდოს ადარებენ და სწორედ ამიტომ ჰქვია რონალდინიო (პატარა რონალდო).

რონალდო დე ასის მორეირა დაიბადა 1980 წლის 21 მარტს პორტუალეგრიში, რიო-გრანდე დუ სულის შტატში, ანუ როგორც მას თვით ბრაზილიელები უწოდებენ, გაუშოში. ამიტომაც დაარქვეს გულშემატკივრებმა „გაუშო“, შემდეგ კი რონალდინიო.

ეს მეტისმეტად ნიჭიერი ფეხბურთელი აქამდეც იპყრობდა ყურადღებას. 1997 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 17-წლიან ჰაბუკებს შორის. შემდეგ ნიგერიაში ითამაშა უკვე 20-წლიანთა მსოფლიო ჩემპიონატში და იქ მეოთხედფინალამდე მივიდა. სხვათა შორის, მისი უფროსი ძმაც ფეხბურთელია და იაპონიაში თამაშობს.

რონალდინიო ნიჭიერი თავდამსხმელი კია, მაგრამ მას „Copa America“-ზე არავინ მიიწვევდა, რომ ეს შემთხვევა არ ყოფილიყო. სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ პოპულარული კლუბები „კორინთიანსი“ და „პალმეირასი“. ანგარიში იყო 2-2, რაც საკვანძო ეპიზოდად ხელს „კორინთიანსს“. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა, როცა ბურთი მიიღო „კორინთიანსის“ თავდამსხმელმა ედილსონმა (მან ის-ის იყო გაათანაბრა ანგარიში და მეტოქეები მეტად გააღიზიანა), რომელიც მინდვრის ცენტრში ქონგლინი“ კი გამოცხადდა, მაგრამ ედილსონი ყველამ გაამტყუნა. ნაკრების მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ედილსონი „Copa America“-ზე მონაწილეობის კანდიდატების სიიდან გარიცხა „უპასუხისმგებლო მოქმედებისათვის“ და მის ადგილზე მოიწვია რონალდინიო.

ხანდახან ხდება ისე, რომ მოთამაშე რამდენიმე წელი წვალობს და ისე მოიპოვებს სახელს, სხვა კი ამას ერთი გატანილი გოლით აღწევს. „Copa America“-ზე რონალდინიო ვენესუელის ნაკრებთან მატჩში შეცვლაზე გამოვიდა და ისეთი სილამაზის გოლი გაიტანა, რომ ნამდვილი აღტაცება გამოიწვია. „აღარც კი ვიცოდი რა მექნა, მეყვირა, მეცინა, მეტირა, ცეკვა დამეწყო, თუ ყველაფერი ერთად გამეკეთებინა. მე ამის მსგავსი გოლი ერთხელ „გრემიოს“ შემადგენლობაში გავიტანე, მაგრამ ამას ჩემს კარიერაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“.

გასაოცარია პირდაპირ. ეს გოლი მყისვე მთელმა ფეხბურთის სამყარომ ნახა, ორიოდე დღეში კი ერთმა ევროპულმა კლუბმა „გრემიოს“ რონალდინიოში 27 მილიონი დოლარი შესთავაზა. როცა ამის შესახებ „გრემიოს“ გულშემატკივრებმა შეიტყვეს, კლუბის პრეზიდენტს პეტიციით მიმართეს: „ღვთის გულისათვის, რონალდინიო არ გაყიდოთ!“. პასუხი ასეთი იყო: „რონალდინიოს მაინც არ გავყიდით, 30 მილიონი დოლარიც რომ მოგვცენ“.

რაც შეეხება რონალდინიოს, იგი ჯერჯერობით ევროპაში წასვლაზე არც კი ფიქრობს. ორი სპორტული მიზანი კი ნამდვილად აქვს: ერთია „გრემიოს“ შემადგენლობაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის წოდების მოპოვება, მეორე და მთავარი კი — ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში თამაში.

ლოთარ მათეუსი (მარცხნივ) და გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი

მათეუსი წლის ფეხბურთელია

პოპულარულმა გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ ჩაატარა ტრადიციული კონკურსი წლის ფხბურთელის გამოსავლენად. ამ კონკურსის შედეგები ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ გახდება.

982 გამოკითხულიდან 556-მა ჟურნალისტმა წლის ფეხბურთელად დაასახელა 38 წლის ლოთარ მათეუსი. საინტერესოა, რომ ეს ვეტერანის კარიერაში სულ მეორედ მოხდა. პირველად მათეუსს ეს პატივი 1990 წელს ერგო, როცა გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

161 ხმით მეორე ადგილზე გავიდა ბერლინის „ჰერტას“ თავდამსხმელი მიხაელ პრეეტცი, მესამეზე – 48 ხმით ლევერკუზენის „ბაიერის“ თავდამსმელი ოლივერ ნოიოლი.

ამდენიდან სულ ოთხს გაუმართლა

ხომ ამდენი რუსი ფეხბურთელი თამაშობს უცხოეთში. მათგან ოთხმა თუ შეძლო სხვადასხვა მნიშვნელოვანი ჯილდოების მოპოვება.

ანდრეი კანჩელსკისი. თამაშობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“, „ევერტონში“ „ფიორენტინასა“ და „გლაზგო რეინჯერსში“, სადაც ახლაც გამოდის. ინგლისის ჩემპიონი 1993, 1994 და 1995 წლებში, ინგლისის თასის მფლობელი (1994), ინგლისის ლიგის თასის მფლობელი (1992), ინგლისის სუპერთასის მფლობელი (1993, 1994), შოტლანდიის ჩემპიონი (1999), შოტლანდიის თასის მფლობელი (1999), შოტლანდიის ლიგის თასის მფლობელი (1999).

ვლადიმირ ბუტი (დორტმუნდის „ბორუსია“) ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი (1997), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1997).

იგორ დონბროვსკი თამაშობდა „ჯენოაში“, ჟენევის „სერვეტში“, მარსელის „ოლიმპიკში“, სან-სებასტინის „ატლეტიკში“ „კასტელიონში“, გერმანიის „ფორტუნაში“ ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელი (1993).

იგორ შალიმოვი. „ფოჯა“, „ინტერი“, „უდინეზე“, „ბოლონია“, „ნაპოლი“, „ლუგანო“, უეფას თასის მფლობელი (1994).

და მაინც „ლაციოში“

მიუხედავად იმისა, რომ არსენ ვენგერი ეწინააღმდეგებოდა ნიკოლა ანელკას „არსენალიდან“ წასვლას, ჩანს, მოსახდენი მაინც მოხდა. ახალ სეზონს ანელკა რომის „ლაციოში“ დაიწყებს.

კონტრაქტის თანახმად, ანელკა „ლაციოში“ 5 წელს ითამაშებს. ტრანსფერის თანხა 22 მილიონი გირვანქა სტერლინგია (34,5 მილიონი დოლარი). ეს მოლაპარაკება დიდხანს მიდიოდა. იტალიელები „არსენალს“ 18 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობდნენ, რაც ინგლისელებს ეკოტაგებოდათ. ბოლოს „ლაციო“ მაინც დათანხმდა, რადგან არსენ ვენგერი კატეგორიულად მოითხოვდა „არსენალის“ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოლაპარაკების შეწყვეტას.

ანელკას ტრანსფერის თანხამ გადააჭარბა ინგლისურ რეკორდს, ალან შირერის საფასურს „ბლეკბერნ როვერსიდან“ „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადასვლისას. ამ რეკორდმა სამ წელს გაძლო.

„ჩელსი“ იტალიელების კლუბია?

ლონდონის „ჩელსის“ იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ კიდევ ერთი თანამემამულე მიიწვია. ეს გახლავთ 25 წლის კარლო კუდიჩინი, რომლის პაპა ფაბიო კუდიჩინი ოდესღაც დიდი წარმატებით თამაშობდა „მილანში“. კარლომ კი ვერც „მილანში“ მოიკიდა ფეხი და ვერც „ლაციოში“, თამაშობდა იტალიის „სერია C“-ს კლუბ „კასტელ დელ სარპოში“.

ასეთი დონის კლუბიდან მეკარის მოწვევა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩაითვალა.

4 (!) მეკარე მიიწვიეს

სანამ შოტლანდიურ „აბერდინის“ კარს პოპულარული ჯიმი ლეიტონი იცავდა, კლუბს კიდევ რა უჭირდა, მაგრამ ვეტერანმა თამაშისათვის თავის დანებება გადაწყვიტა.

ახლა „აბერდინმა“ ერთბაშად 4 მეკარე მიიწვია: ტონი უორნერი „ლივერპულიდან“, ემეკა ანდერსენი დანიური „ბრინდბიუდან“, იან ბენტი ინგლისის პირველი დივიზიონიდან, მაგრამ უპირატესობა, ალბათ, გამოცდილ ალან კელის მიენიჭება „შეფილდ იუნაიტედიდან“.

„თუ შევიცვლები“, ფრანცმა შემცვალოს

როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, მის შემცვლელად ფრანც ბეკენბაუერი ეგულება.

— ფრანცი იდეალური ვარიანტია. მას უზომოდ უყვარს ფეხბურთი და შეუძლია თამაშს დიდი სარგებლობა მოუტანოს.

ახლა „კაიზერ ფრანცი“ მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი და გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტია. გარდა ამისა, იგი ხელმძღვანელობს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარების კომიტეტს. „ვფიქრობ, ფეხბურთში ძალზე ცოტანი არიან ადამიანები ასეთი სახელით. ამასთან, ფრანცი ნამდვილი ექსპერტია ყველა საფეხბურთო საკითხში“ — განაცხადა ბლატერმა.

მსოფლიო ჩემპიონატი... რობოტებს შორის

შვეიცარიაში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში... რობოტებს შორის. იგი სამ კატეგორიაში ტარდება: 1) პატარა, 2) საშუალო სიმაღლისა და 3) ადამიანის სიმაღლის რობოტებს შორის.

როგრც ფიქრობენ, მსოფლიო ჩემპიონატები ადამიანის სიმაღლის რობოტებს შორის ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს. აი, რა განაცხადა ამ შეჯიბრებების პრეზიტენტმა მათს უიკლუნდმა:

— 2002 წლისათვის შეჯიბრება რობოტების ლიგაში პოპულარული გახდება. ჩვენ არა გაქვს პრეტენზია, რომ ამ ეტაპზე რობოტებს ნორმალური ფეხბურთელების კონკურენციის გაწევა შეეძლებათ, მაგრამ, ვფიქრობ, 2050 წლისათვის ისინი ამას შეძლებენ.

პოლ ინსი – „მიდლსბროში“

ცნობილი ნახევარმცველი პოლ ინსი ძალზე უკმაყოფილოა ორი უკანასკნელი სეზონით, რომელიც „ლივერპულში“ გაატარა.

ამიტომაც იგი სიამოვნებით გადავიდა მიდლსბროში“, რომელსაც ინგლის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ბრაიან რობსონი წვრთნის. რობსონი თვლის, რომ ამიერიდან „მიდლსბროში“ უნდა შეიქმნას ჩინებული „დუეტი“: ინსი — გასკოინი. ამასთან, მას „მილანიდან“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ლეონარდოს მოწვევის იმედიც აქვს.

პელე ბრაზილიის წინააღმდეგ

პელე წინააღმდეგია, რომ ბრაზილიამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი ჩაატაროს. იგი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ქვეყანა საამისოდ მზად არ იქნება, ამიტომ ბრაზილიელებს ურჩევს მოხსნან თავიანთი კანდიდატურა. როგოც „ფეხბურთის მეფე“ ფიქრობს, ძალიან კარგი იქნება, თუ ოდესმე მისი სახელმწიფო ესოდენ მნიშვნელოვანი შეჯიბრების ორგანიზატორი გახდება, ახლა კი არ არის საამისო პირობები: „პირველობის ახლა ჩატარება, უბრალოდ, ფულის გადაყრას ნიშნავს“. პელე ამ საქმეში არავითარ დახმარებას არ გაუწევს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციას. „არ მინდა ვითანამშრომლო ადამიანებთან, რომელთა ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნაა. თავს ძალიან უხერხულად ვიგრძნობდი ისეთი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში ვმუშაობდე, კორუფციაში რომ იქნება გარეული, რომლის დონე ჩვენს ფეხბურთში ძალზე მაღალია“.

პელეს აზრით, ბრაზილიას, როგორც მინიმუმი, 10 წელი მაინც დასჭირდება, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას შეძლებს. დაახლოებით ამდენი ხანი სჭირდება მას ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევად. 2006 წლის ჩემპიონატი აფრიკაში უნდა გაიმართოს, მაროკოში ან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

სიმენი დაშავდა

ლონდონის „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ სიმენმა „მონაკოსთან“ ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა. იგი მინდვრიდან საკაცით გაიტანეს და ცნობილი არ არის, როდის განაახლებს თამაშს.

ისევ გერმანიაში სჯობს

ინგლისური „ლივერპულის“ თავდამსხმელი შონ დანდი გერმანიაში ბრუნდება. მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „შტუტგარტთან“, რაც 3 მილიონი გერმანული მარკა (1,6 მილიონი დოლარი) დაჯდა.

26 წლის დანდი, რომელიც გერმანიაში სამხრეთ აფრიკიდან ჩავიდა, ამ ქვეყნის მოქალაქე გახდა და „კარლსრუეში“ თამაშობდა. მაშინ იგი „ლივერპულში“ გადავიდა, მაგრამ ამ კლუბში ვერ დამკვიდრდა.

ფეხბურთელობას პრეზიდენტობა არჩია

ცსკა-ს (სოფია) გენერალურმა ასამბლეამ ჩაატარა კლუბის პრეზიდენტის არჩევნები. 208 ხმიდან 150 მიიღო და კლუბის პრეზიდენტი გახდა ცნობილი ბულგარელი. ფეხბურთელი ლიუბოსლავ (ლიუბო) პენევი, რომელმაც არჩევისთანავე განაცხადა, რომ ამთავრებს თამაშს ვიგოს „სელტაში“ და, საერთად, ამთავრებს პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერას.

ლიუბო-პენევმა კარიერა სწორედ სოფიის არმიელთა კლუბში დაიწყო, სადაც 1985-89 წლებში თამაშობდა. შემდეგ ესპანეთში გაემგზავრა, იქ მთელი 10 სეზონი გაატარა: 1989-95 წლებში „ვალენსიაში“ თამაშობდა, 1995-96 წლების ჩემპიონატში- მადრიდის „ატლეტიკოში“, შემდეგ „კომბოსტელასა“ (1996-98) და ვიგოს „სელტაში“ (1998-99). 10 სეზონში ბულგარელმა ესპანეთის ჩემპიონატებში 130 გოლი გაიტანა. ბულგარეთის ნაკრებში 65 მატჩი ითამაშა და მას მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

დიდი კლუბები

ზაფხულის განვლილ თვეებში ევროპულ ფეხბურთში მოთამაშეების დიდი გადაბარგება-გადმობარგებაა. ზოგი კლუბი სრულიად სახესაც იცვლის და ფაქტობრივად, ახალ კოლექტივად მოგვევლინება ხოლმე. ვიწყებთ ვრცელ საუბარს წამყვან ევროპულ გუნდებზე და იქაურ ცვლილებებზე.

მილანის „ინტერი“

ბოლო სეზონში „ინტერმა“ არნახული ფიასკო განიცადა. კლუბში რომ ოთხი მწვრთნელი გამოიცვლება და ვერც ერთი გახდება რამეს! ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, უეფას თასიც კი სანატრელი გაუხდათ. ინტერტოტოს თასზე გამოსვლა შესთავაზეს, რაც „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ამპარტავნულად უარჰყო და ამჯობინა მომავალ სეზონში საერთოდ საერთაშორისო შეჯიბრების მიდმა დარჩენილიყო. ახლა გუნდის მეტისმეტად აწეწილ-დაწეწილი საქმეების მოწესრიგებაა მთავარი, რათა იქ კრიზისი ისე არ გახანგრძლივდეს, როგორც ეს მის თანაქალაქელსა და მეტოქე, „მილანს“ დაემართა.

ერთ-ერთი უმთავრესი ცვლილება, რაც „ინტერში“ მოხდა, არის ის, რომ აქ მუშაობა დაიწყო განთქმულმა მწვრთნელმა, მსოფლიო სახელის მქონე მარჩელო ლიპიმ. გავიხსენოთ, რომ 5 წლის წინათ ლიპი, სანამ ტურინის „იუვენტუსში“ დაიწყებდა საქმიანობას, იტალიაში ითვლებოდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ, მაგრამ არსებითად, მაინც რიგით მწვრთნელად. ამას მოჰყვა ფანტასტიკური ფეერია 1994-98 წლებში, როცა „იუვენტუსმა“ ყველაფერს მიაღწია, რაც კი შესაძლებელი იყო და ოფიციალურად მსოფლიოს №1 კლუბის წოდება რომ არსებობდეს, ასეთად სწორედ იგი იქნებოდა მიჩნეული. 1999 წელს „ბებერი ქალბატონის“ სრული კრახის შემდეგ ჩაითვალა, რომ ლიპიმ კლუბს ყველაფერი მისცა, რაც კი შეეძლო და ახლა საჭირო იყო სხვა სპეციალისტის მიწვევა. სხვათა შორის, თვით ლიპის ჩავარდნამდე წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა მილანის „ინტერთან“ გადასვლის შესახებ და „იუვეში“ მისი შესაძლებელი შემცვლელების მთელი წრეც კი იყო შედგენილი.

ანჯელო პერუცი

ახლა ლიპიმ, ყოველ შემთხვევაში, მას ამისი იმედი აქვს, უკვე ლომბარდიულ კლუბში

მალდინი

უნდა დაიწყოს ახალი ფეერია. იგივე იმედით სულდგმულობს „ინტერის“ პატრონი მულტიმილიონერი მორატიც.

ცხადია, ლიპიმ „ინტერში“ ახალი კოლექტივი უნდა შექმნას. ახლა საინტერესო ის არის, რამდენი ხანი დასჭირდება ამ ოპერაციას, გამოდგება იგი ისეთივე ელვისებური, როგორც ეს ხუთი წლის წინათ „იუვენტუსში“ მოხდა, თუ პროცესი გაჭიანურდება?

„ინტერი“ დატოვა მოთამაშეების დიდმა ჯგუფმა. ამასთან, თუ მათ ნაწილს ფეხბურთის სამყაროში დიდი სახელი აქვს (არგენტინელი სიმეონე გადავიდა რომის „ლაციოში“, პალიუკა, ვენტოლა, ზელიასი — „ბოლონიაში“. ჯორკაეფი გუნდიდან ისე წავიდა, რომ მოლაპარაკება ჰქონდა ერთბაშად 5 კლუბთან: მადრიდის „ატლეტიკოსთან“, სევილიის „ბეტისთან“, ინგლისურ „ჩელსის“, ნიუკასლსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედთან“). დანარჩენები ნაკლებად ცნობილები არიან, რა თქმა უნდა, ვეტერან ვინტერის გარდა, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში ადგილი არა ჰქონდა და ისევ მშობლიურ „აიაქსში“ (ამსტერდამი) დაბრუნება არჩია.

ახლა ვნახოთ, რომელი მოთამაშეები შეიძინა „ინტერმა“. გამოცდილ პალიუკას ახლა იტალიის ნაკრების (უფრო ზუსტად, ამ მომენტისათვის მეორე) მეკარე ანჯელო პერუცი შეცვლის. იგი თან წამოჰყვა ლიპის და მასში „ინტერმა“ გვარიანი თანხა — 15,2 მილიონი დოლარი გადაიხადა. დაცვაში პრეტენზია ორ ფრანგს — ბლანსა და დომოროს ექნება. რახან „ინტერის“ დაცვა მთელ სეზონში არეულ-დარეული იყო, ამით ამართლებენ ლორან ბლანის (მასში 4,1 მილიონი დოლარი გადაიხადეს) მოწვევას. მართალია, ისიც აღინიშნა, რომ ბლანი უკვე ვეტერანია და ვერც მარსელის „ოლიმპიკში“, და ვერც საფრანგეთის ნაკრებში უწინდელი ძალით ვეღარ თამაშობდა. დაცვა უნდა გააძლიეროს საფრანგეთის ნაკრების წევრმა კანდელამ, რომელიც აქამდე „რომაში“ თამაშობდა და მადრიდის „რეალდან“ გადმოყვანილმა პანუჩიმ. ისე რომ, დაცვის არჩევანი დიდი იქნება. იგივე ითქმის შუა ხაზზეც, სადაც მადრიდის „ატლეტიკოდან“ გადმოვიდა იუგოსლავიის ნაკრების წევრი იუგოვიჩი. რაც შეეხება თავდასხმას, აქ „ინტერს“ მსოფლიოში უძლიერესის პრეტენზია ექნება. რონალდო, როგორი წარუმატებელიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის ბოლო სეზონი, მაინც ინარჩუნებს დიდ რეპუტაციას. ახლა მან წყვილი უნდა შეადგინოს მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელ ვიერისთან, რომელიც ყოველწლიურად იცვლის კლუბებს და იმაღლებს ...მაზანდას. ლიპი სამი თავდამსხმელით აპირებს თამაშს. ეს მესამე რობერტო ბაჯო იქნება, რომელიც სრულიად დარწმუნებულია თავის ძალაში და უარჰყო რამდენიმე კლუბის წინადადება გადასვლის შესახებ. აი, რისი იმედი უნდა ჰქონდეს ასეთ პირობებში ჩილელ სამორანოს, ჯერჯერობით ნათელი არ არის. კლუბს დაუბრუნდა „ვენეციისათვის“ იჯარის უფლებებით გადაცემული ურუგვაელი რეკობა, რომელსაც პირდაპირ ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა და უშუალო შეხვედრაში თვით „ინტერიც“ კი არ დაინდო.

გარდა უკვე ჩამოთვლილი მოთამაშეებისა, „ინტერში“ გადავიდნენ აგრეთვე ძანეტი („კალიარიდან“), ზ. კამარა („ემპოლიდან“), დაბო („ვიჩენციდან“), ფრეზი („სალერნიტანადან“), ფერარი („ლეჩედან“), ფრეცოლინი („კოზენცადან“), რივასი („პერუჯადან“), და პისტონე („ნიუკასლ იუნაიტედიდან“), ისინი, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ადგილზე მოსახვედრად იბრძოლებენ. თუ რეალურად როგორია ამ ჯგუფის პერსპექტივები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ისე კი, შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ინტერი“ ერთ-ერთი უძლიერესია არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მას, შეიძლება ითქვას, ორი სრულფასოვანი შემადგენლობა

რობერტო ბაჯო

ჰყავს, სეზონში რომელიმე კორიფეს შეცვლის პრობლემა ნამდვილად არ იქნება. ახლა წინა პლანზე სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემა უნდა წამოვიდეს. გუნდმა უნდა დაიბრუნოს გამარჯვებულის ფსიქოლოგია, რაც დაკარგა უადრესად მარცხიან სეზონში.

ბივი გამრეკელი



ყაზანში დაიწყო მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სიუ ჟუნსა (ჩინეთი) და ალისა გალიამოვას (რუსეთი) შორის. დებულების თანახმად, პირველი ნახევარი (8 პარტია) ყაზანში ჩატარდება, მეორე — შენიანში (ჩინეთი).

სულ გათვალისწინებულია 16 პარტია. დროის კონტროლით: 100 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ, თუ პარტია არ დასრულდა, 50 წუთი მომდევნო 50 სვლაზე. თუ შეხვედრა ამ შემთხვევაშიც არ დამთავრდა, მეტოქეებს მიეცემათ კიდევ 10-10 წუთი პარტიის ბოლომდე. თუ 16 პარტიის შემდეგ ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა, მაშინ დაინიშნება ორი დამატებითი პარტია შეკვეცილი კონტროლით (25-25 წუთი მთელ პარტიაზე). თუ აქაც არ გამოვლინდა რომელიმე მხარის უპირატესობა, მაშინ კვლავ ორ სწრაფ პარტიას დანიშნავენ (უკვე 15-15 წუთით მთელ შეხვედრაზე). იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებას ვერავინ მიაღწია, ინიშნება ელვისებური პარტიები.

საპრიზო ფონდი 120 ათასი დოლარია, აქედან 10 პროცენტი ფიდეს სასარგებლოდ გადაირიცხება. დარჩენილი 108 დოლარი ასე განაწილდება. 5/8, ანუ 67500 დოლარს გამარჯვებული მიიღებს, 3/8 ანუ 40 500 დოლარს — წაგებული. თუკი 16 პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი აღმოჩნდა (დამატებითი სწრაფი პარტიების შედეგის მიუხედავად), ორივე მოჰადრაკე თანაბარ თანხას მიიღებს — 54-54 ათას დოლარს.

მატჩში გათამაშებულია სამი პარტია. პირველი ყაიმით დასრულდა, მეორე, რომელიც შაბათს გაიმართა, ჩინელმა მოიგო, მაგრამ კვირას გალიამოვამ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1,5:1,5.

„ლოტო-ლოტო" – მილიონთა თამაში!

1 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეათე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
2. 6. 14. 22. 39. 41.
3 ციფრი – 2.30 ლარი.
4 ციფრი – 25.00 ლარი.
5 ციფრი – 319.90 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

„ჯეკ-პოტი" 38 368 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **0. 9. 9. 0. 7. 7. 3.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 8 აგვისტოს.

ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელ ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელ პირველ ტელეგათამაშება „გოლი + ოლიმპი"-ზე დასწრების უფლება წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპ"-ში – ეკა კაპანაძეს – ბილეთის № 034948, ანდრო რაზმაძეს (თბილისი) – ბილეთის №000486. ლატარია „გოლი-98"-ში ნონა ნატროშვილს (თბილისი) – ბილეთის № 03986-099, გურგენ აზიზბეკიანს (თბილისი) – ბილეთის №03820-049. ლატარია „ლოტო 6-42"-ში ანა ბრეგაძეს (თბილისი) – ბილეთის № 5014685, ბესო ბითაძეს (თბილისი). ბილეთის №5394687. მათ გადაეცემათ სისტემატურად, 4 ვარიანტად შევსებული ხუთ-ხუთი ლატარიის ბილეთი და მოპატიჟება „ტოტო-სტუდიაში", სადაც 26 სექტემბერს გაიმართება საინტერესო პრიზების გათამაშება. მომავალში, 30-ე ტირაჟიდან დაწყებული, ლატარია „ლოტო 6-42"-დან მოყვარულებს აღარ დაჭირდებათ მოუგებელი ბილეთების გამოგზავნა, რადგანაც ამ ლატარიის ბილეთების მონაცემები ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში და თვით კომპიუტერის გამოყენებით გამოვლინდება გამარჯვებულები.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

8 ქართველი უძლიერესთა შორის

ფიდეს გამოქვეყნებულ მსოფლიოს უძლიერეს მოჰადრაკე ქალთა ბოლო რეიტინგ-ლისტში 8 ქართველია.

მაია ჩიბურდანიძეს (2551) ახლა მესამე ადგილი უკავია იუდით პოლგარსა (2671) და ალისა გალიამოვას (2556) შემდეგ, მაგრამ უსწრებს სიუ ჟუნს (25-28).

ნანა იოსელიანმა წლის პირველ ნახევარში 35 პარტია ითამაშა და 11 პუნქტი მოემატა. ამჟამად მას 2504 პუნქტის სიაში მეხუთე ადგილი უკავია.

მკვეთრად გაუმჯობესდა ნინო ხურციძის „რეიტინგი": მან 55 პარტია ითამაშა, რაც ნახევარი წლისათვის, ცადია, ბევრია, და მთელი 67 პუნქტი მოემატა. ახლა ნინოს უძლიერეს მოჰადრაკე ქალთა შორის საპატიო მეთერთმეტე ადგილი უკავია.

ქეთევან არახამიას ერთი პარტიაც კი არ უთამაშია და 2431 პუნქტით 21-ე ადგილზეა. სამაგიეროდ, 30 პარტიის შემდეგ ქეთევან კახიანს (2427) 48 პუნქტი მოემატა და ახლა სიაში 22-ე ადგილზეა.

ბევრს თამაშობდა (65 პარტია) ჩვენი ახალგაზრდა დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი (2387). იგი ახლა მეორმოცე ადგილზეა. 19 წლის რუსუდან გოლეთიანი (2384), რომელსაც მალე დიდოსტატის წოდება უნდა მიენიჭოს, 42-ე ადგილზეა, ხოლო დიანა დარჩიამ (2383) 45-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ფორმულა-1 ირვინეა ეგაპიც მოიგო და საერთო ჩათვლაშიც ლიდერობს

ბრიტანელმა ედი ირვინმა ფორმულა-1-ის მორიგი ეტაპი – გერმანიის გრან-პრი მოიგო და საკმაოდ დაწინაურდა პირად ჩათვლაში, მას ახლა 52 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს ფინელ მიკა ჰაკინენს 8 ქულით უსწრებს, ამ უკანასკნელს კი უფრო სოლიდური სხვაობით 11 ქულით ჩამორჩება გერმანელი ჰაინც ფრენცენი. ჰაკინენი ამ ეტაპამდე ლიდერობდა და ირვინს 2 ქულით უსწრებდა. ჰაკინენი წინ იყო საკვალიფიკაციო რბოლის შემდეგ, ლიდერობდა ძირითად რბოლაშიც, მაგრამ ფინიშამდე 18 წრით ადრე მას ავარია შეემთხვა, თუმცა არ დაშავებულა. ამ შემთხვევამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საპრიზო ადგილების განაწილებაში. ფინიშთან პირველი მიიჭრა ფერარის პილოტი ირვინი, მეორე იყო ფინელი ნიკა სალო (ასევე ფერარი), მესამე – ჰაინ ფრენცენი (ჯორდანი).

სურათზე: გამარჯვებულმა ედი ირვინმა რბოლა დაამთავრა

სამპრასი, აგასი, რაფტერი

სულ რაღაც ერთ კვირას ინარჩუნებდა ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი პირველ ადგილს ჩოგბურთელთა მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში". საქმე ის არის, რომ სანამ იგი თამაშობდა, მსოფლიოს სხვა წამყვანი ჩოგბურთელები შეჯიბრებებში არ მონაწილეობდნენ და ავსტრალიელმა შეძლო ჩამოეტოვებინა ისინი.

მაგრამ აი გაიმართა დიდი ტურნირი ლოს-ანჯელესში, სადაც რაფტერი არ მონაწილეობდა და ...ლიდერობა დაკარგა. სამაგიეროდ, იქ თამაშობდნენ პიტ სამპრასი და ანდრე აგასი. ახლა ერთმაც გადაასწრო ავსტრალიელს და მეორემაც. ლოს-ანჯელესში სამპრასმა ფინალურ მატჩში აგასი დაამარცხა – 7:6, 7:6.

ორშაბათს გამოქვეყნდა ჩოგბურთელთა ახალი „რეიტინგ-ლისტი", სადაც პირველი ადგილი სამპრასმა დაიბრუნა, ახლა მეორეა აგასი, მესამე – რაფტერი.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

3 აგვისტო, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კაგკასია. „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგის არქივი" (98-99 წ.წ.), მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები: „კაიზერსლაუტერნი" – „ბავარია" (17.15), „ოლიმპიაკოსი" – „იუვენტუსი (22.40), ინგლისის ჩემპიონატის სტარტის წინ (19.45), ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (23.05), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 13.00, 23.00), ***EUROSPORT.*** მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი (10.30), ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (13.00), ფეხბურთი: ევროგოლები (21.00), ამხანაგური მატჩი. „კაიზერსლაუტერნი" – „ფიორენტინა" (22.00).

4 აგვისტო, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კაგკასია. „ვარსკვლავები" ((21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** „სტუმარი" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი (III ადგილისთვის, 13.15, 20.55), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (18.55), რუსეთის ჩემპიონატი. „ალანია" – „ტორპედო" (18.55). ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპის საკლასიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩები (23.00), ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (20.40), ***ESPN.*** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.00).

5 აგვისტო, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. სპორტული პროგრამა (22.20), ***კაგკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** ფეხბურთის ლეგენდები (21.35). ***НТВ плюс футбол.*** კონფედერაციის თასი, ფინალი (13,15, 22.00) ჩემპიონთა ლიგა. მე-2 რაუნდის საპასუხო მატჩები: „მიოლდე" – ცსკა (15.00), რუსეთის ჩემპიონატი. ალანია – ტორპედო (17.15), ჩემპიონთა ლიგა. მე-2 რაუნდის საკლასიფიკაციო მატჩები (20.05, 23.50), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (22.00), ***НТВ плюс спорт.*** მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (22.15). ***ESPN.*** ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (21.00), ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (22.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.30, 18.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (3.00).

კროსვორდი



მთარაგულად: 3. გერმანელი თავდამსმელი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 8. ცნობილი ფინელი ფორვარდი, 12. რუსი ნახევარმცველი, მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი, 13. „ინტერისა" და ჩილეს ნაკრების თავდამსმელი, 16. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, 18. იტალიის კლუბი, 20. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარე, 22. „ბარსელონას" მეკარე, 24. საფრანგეთის კლუბი, 26. ბრაზილიის კლუბი, 27. პერუს კლუბი, 32. ბრაზილიელი თავდამსმელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 34. 1975 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 35. „ჩელსის" ფრანგი მცველი, 36. ევროპის IX ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი, 37.მინსკის „დინამოს" და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 38. ავსტრიის კლუბი, 41. 60-70-იანი წლების გამოჩენილი ინგლისელი ბომბარდირი, 48. „ფიორენტინას" თავდამსმელი, 49. „ლივერპულის" ნახევარმცველი, 50. ოკეანიის თასის 1980 წლის მფლობელი, 51. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

შვეულად: 1. ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 2. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, 3. ცნობილი გერმანელი მწვრთნელი, 4. 1969 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 5. „გლაზგო რეინჯერსის" გერმანელი მეკარე, 6. იტალიის კლუბი, 7. „ვიჩენცას" ურუგვაელი თავდამსმელი, 9. ცნობილი განელი თავდამსმელი, 10. არგენტინელი მწვრთნელი, 11. „ოქროს ბურთის" 1963 წლის მფლობელი, 14. 1956 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 15. მექსიკის კლუბი, 17-28. „ვალენსიას" არგენტინელი თავდამსმელი, 19-29. 1971 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი, 20. ესპანელი თავდამსმელი, 1984 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონი, 21. ბულგარეთის ნაკრების თავდამსმელი 1962-70 წლებში, 23. ქუთაისის „ტორპედოს" 1965-70 წ.წ. და თბილისის „დინამოს" 1971-76 წ.წ. ნახევარმცველი, 25. მარსელის „ოლიმპიკის" იტალიელი ფორვარდი, 30. პორტუგალიელი ნახევარმცველი, ევროპის ჩემპიონთა თასის 1961-62 წ.წ. მფლობელი, 31. 1978-79 წლებს „ოქროს ბურთის" მფლობელი, 33. მატჩის მთავარი მსაჯი, 34. რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 38. რუსეთის კლუბი, 39. ჰოლანდიელი მწვრთნელი, 40. სტადიონი მეხიკოში, 41. იტალიელი მსაჯი, 42. არგენტინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 43. „იუვენტუსის" თავდამსმელი, 44. იტალიელი თავდამსმელი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი, 45. „ეინდჰოვენის" პოლონელი ფეხბურთელი, 46. ინგლისის კლუბი, 47. თბილისის „დინამოს" თავდამსმელი 1979-86 და 1988-90 წლებში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაგულად: 3. არტემე, 5. გერსონი, 7. ბოჟეკი, 12. კიეზა, 14. ილინი, 16. ოვერატი, 17. ტარდელი, 20. აუსტრია, 25. მეკარე, 26. რამსეი, 27. პონდფილეკი, 28. ბონვეი, 29. ბასტია, 32. იმერეთი, 34. იაპონია, 36. სკილაჩი, 40. არისი, 44. ვიალი, 47. ომონია, 48. ანდრადე, 49. ბობანი, **შვეულად:** 1. გრივსი, 2. კოლერი, 3. აცტეკა, 4. მეაცა, 5. გალიეგო, 6. ირიბარი, 8. ოუენი, 9. იტალია, 15. ფრანჩესკოლი, 17. ტრეზორი, 19. ინდოეთი, 20. ამოკაჩი, 22. ამერიკა, 36. სვეილია, 37. ისალდე, 38. ზაგალო, 39. სიმენი, 41. ივიჩი, 42. ბლინდი, 43. ტოსტაო, 44. ვოტრო. **დიაგონალურად:** 3-13. აიალა, 18.10 ალიანსა, 14-9. იარნი, 11-21 რესინგი, 23-31 ბრემე, 30-24. ვიერი, 33-45 მუნიოსი, 47-41. ოსერი, 46-35 დერვალი, 44-50 ვესტი.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მd2! მუქარა 2. მb3X.
1. ...კe6 2. კ:e5X. 1. ...მc5 2. ეb4X.
1. ...cd 2. c3X. 1. ...ed 2. კf2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, ბ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელის" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე